# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 1 დეკემბერი. 2023 წ. №134 (9666) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## აურზაური სანაცეთში

# კიკიმორებმა მელია ჭაობიდან მგლის ბილეთით გააგდეს!



იხ. 4 გვ.



# ხაბე უნდა გადადგეს! მაგრამ...

ენმ-ში ხაბეიშვილის გადადგომის მოთხოვნას უარით პასუხობენ

## სად მიშა და სად ④ ადამიანების ერთობა?!



## ომს ყველაფერი ეპატიება?

# ЗАЧЕБУРАШИМ!



8

# კანიბალები რუსეთის არმიაში

რუსეთში ყველას ეპატია: ნაცისტებს, სადისტებს, სატანისტებს, ახლა კი, როგორც ჩანს, კანიბალების რიგია!..




იხ. 3 გვ.



## ერდოღანმა ნეთანიაჰუს ღაზის ყასაბი უწოდა!

**თურქეთი გააგრძელებს მცდელობებს, რათა საერთაშორისო სასამართლოებში პასუხი აგებინოს ისრაელის ხელისუფლებას იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც ბენიამინ ნეთანიაჰუს ხელისუფლებამ ღაზის სექტორში ჩაიდინა,** – ამის შესახებ თურქეთის პარლამენტის სხდომაზე პრეზიდენტმა, **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** განაცხადა.

თავის გამოსვლაში **ერდოღანმა ნეთანიაჰუს „ღაზის ყასაბი“ უწოდა, ღაზის სექტორში „ცაჰალის“ ქმედებები კი გენოციდად შეაფასა.**



**„ჩემი ღაზელი ძმები კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ვერაგული თავდასხმის მსხვერპლები გახდნენ. ისრაელელმა სამხედროებმა გენოციდი მოაწყვეს, ისინი წვავდნენ და ანადგურებდნენ ადამიანებს მთელი კაცობრიობის თვალწინ. 2,3 მილიონი ადამიანის წინააღმდეგ გენოციდი განხორციელდა. ნეთანიაჰუ, რომელმაც ეს ჩაიდინა, უკვე შევიდა ისტორიაში როგორც ღაზის ყასაბი“,** – დასძინა ერდოღანმა.

5




## ზეციური სამყაროს მკვლევარი

### ლეო ბოკერია:

## ყველა დაავადებას ცალ-ცალკე ნუ უმკურნალებთ!

9



# საქართველო აფასებს აზიის განვითარების ბანკის სერიოზულ მხარდაჭერას...

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზიის განვითარების ბანკის (ADB) პრეზიდენტს, მასაცუგუ ასაკავას შეხვდა, რომელიც თბილისში ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) ფორუმის ფარგლებში იმყოფება.**

**მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო აფასებს ბანკის ამჟამინდელ პორტფელს, რომელიც შედგება 18 ინვესტიციისგან და მოიცავს 1,9 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო ADB-ს ჯამური პორტფელი 4.5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.**

მხარეებმა განიხილეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება, ფისკალური და საბიუჯეტო პარამეტრები. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია იმ პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება, რაც ქვეყანამ აჩვენა 2023 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიხედვით. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, კერძო სექტორის გაძლიერება უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური წინსვლისთვის და ამ პროცესში აზიის განვითარების ბანკის როლი გადამწყვეტია.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ინვესტირებას ახორციელებს რეფორმებში, რაც ხელს უწყობს როგორც ბიზნესის გამარტივებას, ისე ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ეს კი მხარს უჭერს ქვეყნის სატრანზიტო, ლოგისტიკის, ტურიზმისა და ბიზნესჰაბის პოტენციალის გამოვლენას. პრემიერ-მინისტრმა ამავდროულად ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, იყოს აზიის განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრების მასპინძელი 2024 წელს.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ აზიის განვითარების ბანკის აღმასრულებელი დირექტორი, დირექტორთა საბჭოს წევრი რეიჩელ ტომპსონი, აზიის განვითარების ბანკის ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი იუჯინ ჟუკოვი, საქართველოში აზიის განვითარების ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორი ლესლი ბერმენ ლამი, ხოლო საქართველოს მხრიდან – მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე.



# ძაღლი პატრონს ვერ ცნობს „ნაცმოძრაობაში“!

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობაში“ მძიმე მდგომარეობაა და პარტიაში არსებული დაპირისპირება კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

**„მძიმე მდგომარეობაა, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს „ნაცმოძრაობაში“. გრძელდება დაპირისპირება. აცხადებდნენ, რომ მელია აღარ იყო „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, თუმცა მელიამ ხაზეიშვილსა და კეზერაშვილს აუმხედრა, თუ არ ვცდები, რვა საკრებულო, პარტიული ორგანიზაცია. ეს არის ის დაპირისპირება, რომელიც კარგია, რომ გრძელდება „ნაცმოძრაობის“ შიგნით და ალბათ კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. ეს არის სისუსტის ნიშანი, „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან დასუსტებულია და სწორედ ამიტომ არის მოშლილი. სისუსტის გამოვლინებაა ის რღვევა, რომელიც გრძელდება „ნაცმოძრაობის“ შიგნით“,** – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

ამასთან, ირაკლი კობახიძის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ ფორმალური თავმჯდომარე 16-პროცენტიანი რეიტინგით ამაყობს, თუმცა ვერ ითვლის, რომ 16 პროცენტით ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება.

**„თან ამბობენ, რომ არჩევნები უნდა მოიგონ, თან მათი ფორმალური თავმჯდომარე ამაყობს 16-პროცენტიანი რეიტინგით. შეიძლება, ხაზეიშვილმა არ იცის დათვლა, მაგრამ სხვებმა ხომ იციან. ხაზეიშვილი ვერ თვლის, რომ 16 პროცენტით ვერ დაბრუნდება ხელისუფლებაში, მაგრამ ხომ არიან სხვები, რომლებსაც ამდენის თვლა მაინც შეუძლიათ. გასაგებია, საზოგადოება ხედავს ამ ყველაფერს“,** – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# „ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი“

**თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში (DIBS) „ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი“ ოფიციალურად გაიხსნა. მსმენელებს სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნიკოლოზ მელქაძე და ესტონეთის რესპუბლიკის ელჩის მოადგილე, პიიტერ პალსი მიესალმნენ, კურსის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და მონაწილეებს წარმატებები უსურვეს.**

მათივე ინფორმაციით, ნიკოლოზ მელქაძემ ესტონურ მხარეს მხარდაჭერისა და პარტნიორობისთვის მადლობა გადაუხადა. კურსის მიმართ გაზრდილი ინტერესისა და მასში განხილული თემების აქტუალურობიდან გამომდინარე, „ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი“ წელს მეორედ ტარდება, რომელშიც სამთავრობო უწყებების მაღალი თანამდებობის პირები, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები მონაწილეობენ. სემინარის ფარგლებში ერთი კვირის განმავლობაში ისინი საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის პრიორიტეტებზე, ეროვნულ, რეგიონულ თუ გლობალურ კონტექსტში უსაფრთხოების გამოწვევებსა და მზარდ საფრთხეებზე, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიიღებენ.

მონაწილეებს კრიზისული სიტუაციის ამსახველ სიმულაციურ თამაშებში აქტიურად ჩართვის შესაძლებლობაც ექნებათ. „ეროვნული თავდაცვის უმაღლესი კურსი“ სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების კურსების მოდელზე ჩამოყალიბდა და ესტონეთის თავდაცვის სამინისტროსა და ნატოს პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, 2012 წლიდან საქართველოში ყოველწლიურად იმართება.



# ირაკლი კობახიძე: საზოგადოებამ მეტი უნდა იცოდეს, ვინ ვის აფინანსებს, იგივე მიზანი ამოძრავებს ევროკომისიას



**„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტს, სინამდვილეში, ჯანსაღი მიზნები ჰქონდა. ევროკომისია რომ ანალოგიურ კანონპროექტს განიხილავს, თანაც პირდაპირ აგენტების კანონპროექტი ჰქვია დოკუმენტს, მეტყველებს, რომ ჩვენთან შექმნილი აჟიოტაჟი ხელოვნური იყო“.**

– აჟიოტაჟი, რომელიც შეიქმნა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონთან დაკავშირებით, აბსოლუტურად ხელოვნური იყო. ერთადერთი რამ, რასაც საქართველოში ითვალისწინებდა ეს კანონი, იყო ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა გამოექვეყნებინათ საკუთარი ფინანსური საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში. უამრავი ფაქტი ნახა საზოგადოებამ, რომ უცხოური წყაროებიდან ფინანსდებოდა ექსტრემისტული ღონისძიებები, კონკრეტული ორგანიზაციების ექსტრემისტული საქმიანობა და, რა თქმა უნდა, ამის გასაჯაროება არავის სურდა. სინამდვილეში, კანონპროექტს აბსოლუტურად ჯანსაღი მიზნები ჰქონდა. ის, რომ ახლა ევროკომისია განიხილავს ანალოგიურ კანონპროექტს, თანაც პირდაპირ აგენტების კანონპროექტი ჰქვია დოკუმენტს, იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენთან შექმნილი აჟიოტაჟი აბსოლუტურად ხელოვნური იყო.

ადამიანებს გააპროტესტებინეს წაუკითხავი კანონი, წაკითხული არ ჰქონდათ კანონი, ისე აპროტესტებდნენ და აჟიოტაჟი შექმნეს ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რაც საზოგადოების ინტერესებში შედიოდა. არასამთავრობო ორგანიზაციის ფინანსები როცა გამჭვირვალე ხდება, პირველ რიგში, ეს არის საზოგადოებისთვის. საზოგადოება ხედავს, მაგალითად, ვინ აფინანსებს კარგ საქმეს ან ცუდ საქმეს საქართველოში და ამის მიხედვით გამოაქვს დასკვნები, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან თუ მათ დონორებთან დაკავშირებით. ეს იყო კეთილშობილური საქმე, თუმცა მოატყუეს ხალხი, მათ შორის, სამწუხაროდ, კონკრეტული, მადლობა ღმერთს, ყოფილი დიპლომატები იყვნენ ჩართული საზოგადოების მოტყუებაში. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი შეცდომაში შეიყვანეს, რასაც ჩვენ ანგარიში გავუწიეთ. ყველაფრის მიუხედავად, არც მომავალში ვაპირებთ, ამ კანონპროექტს მივუბრუნდეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კანონპროექტი კეთილშობილურ მიზნებს ემსახურებოდა. მთავარი მიზანი იყო, საზოგადოებას მეტი სცოდნოდა იმასთან დაკავშირებით, ვინ ვის აფინანსებს. იგივე კეთილშობილური მიზანი ამოძრავებს ამ შემთხვევაში ევროკომისიას.

# ევროკომისია „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონპროექტის წარდგენას 12 დეკემბერს გეგმავს

**ევროკომისია 12 დეკემბერს გეგმავს, წარადგინოს დემოკრატიის დაცვის პაკეტი, რომელიც „უცხოური აგენტების შესახებ“ კანონპროექტს მოიცავს.** აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ონლაინგამოცემა „ევროაქტივი“ ავრცელებს.

როგორც მედიასაშუალება წერს, ევროკომისიაში აცხადებენ, რომ კანონპროექტი შემუშავებულია ევროპული დემოკრატიის დასაცავად, ისეთი ორგანიზაციების დაფინანსებასა და მესამე ქვეყნებთან მათ კავშირებზე გამჭვირვალობის ვალდებულების დაწესებით, რომლებიც საზოგადოებრივ აზრსა და პოლიტიკაზე ზეგავლენისკენ მიისწრაფვიან.

**„ევროაქტივის“ ცნობით, კანონპროექტის წარდგენა თავდაპირველად 2023 წლის მეორე კვარტალისთვის იგეგმებოდა, თუმცა სამოქალაქო ჯგუფების მხრიდან კრიტიკამ ევროკომისია აიძულა ხანგრძლივი შეფასების ჩატარებისკენ და ინიციატივის წარდგენა რამდენჯერმე გადაიდო. ამგვარად, ევროპარლამენტის წევრებსა და ევროპული საბჭოს მინისტრებს კანონპროექტის განსახილველად მხოლოდ სამი თვე აქვთ.**

**უცხოური აგენტების შესახებ კანონპროექტის გამოქვეყნებამდე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა ერთობლივი წერილი გამოაქვეყნეს, სადაც შეშფოთება გამოთქვეს. 27 ნოემბერს გამოქვეყნებულ განცხადებას ხელს აწერენ „ევროპის სამოქალაქო საზოგადოება“, „ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისთვის“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა ევროკავშირი“. სამოქალაქო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ კანონპროექტი, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას და გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ თავისუფლებებსა და ფუნდამენტურ უფლებებზე, როგორებიცაა გამოხატვის თავისუფლება, პირადი მონაცემების დაცვა, კონფიდენციალურობა. ორგანიზაციებს მაგალითად მოჰყავთ უნგრეთი, სადაც, მათი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოური დაფინანსების შესახებ წესებს ვიქტორ ორბანის მთავრობა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების დევნისთვის იყენებს, რომლებიც დემოკრატიულ, აკადემიურ თავისუფლებებსა და ლგბტ პირების უფლებებს იცავენ. განცხადების ხელმომწერები ასევე იხსენებენ ევროკავშირის კრიტიკას საქართველოსა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში ინიცირებული უცხოური აგენტების კანონპროექტების მიმართ. „მესამე ქვეყნებმა უკვე დაიწყეს ევროკავშირის საკანონმდებლო ინიციატივის გამოყენება უცხოური ჩარევის წინააღმდეგ საკუთარი ზომების გასამართლებლად“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

# „რა ხელმა ააგო“!..

## საქართველოში „THE LUXURY COLLECTION“-ის კლასის სასტუმრო „პარაგრაფ თბილისი“ გაიხსნა



**როგორც ვიუწყებოდით, საქართველოში პირველი, „The Luxury Collection“-ის კლასის სასტუმრო „პარაგრაფ თბილისი“ გაიხსნა, რომელიც Marriott International-ის ბრენდის ეგიდით დაიწყებს ოპერირებას.**

Luxury Collection-ის ბრენდი Marriott International-ის უმაღლესი კატეგორიის ბრენდია, რომელიც გულისხმობს ყველაზე მაღალ სტანდარტებს როგორც კომფორტის, დიზაინის, ხარისხის ასევე მომსახურების ნაწილში.

„პარაგრაფ თბილისი“ სტუმრებს სთავაზობს უმაღლესი კატეგორიის 220 ოთახს პანორამული ხედებით თბილისზე, სხვადასხვა სახის რესტორნებს, 3 სართულზე განლაგებულ სპა ცენტრს, მულტიფუნქციურ საკონფერენციო სივრცეებს და რაც ყველაზე მთავარია უმაღლესი ხარისხის მომსახურებას.

პარაგრაფ თბილისის სასტუმროს დიზაინზე ფრანგულმა კომპანია HAT Design Paris-მა იმუშავა, მათ მიერ შექმნილი სასტუმროს ინტერიერი შთაგონებას საქართველოს მდიდარი მემკვიდრეობისა და ძირძველი ისტორიიდან იღებს. სასტუმროს სხვადასხვა სივრცეში სტუმრებს დახვდებათ ვაზისა და თბილისის არქიტექტურით ნაკარნახევი დეტალები, ასევე ინტერიერის დიზაინში აქტიურად არის გამოყენებული ქართული სამოსელისთვის დამახასიათებელი ელემენტები და უნიკალური ქართული ორნამენტების ასლები. პარაგრაფ თბილისის დიზაინი ორგანულად ერწყმის თანამედროვე ესთეტიკას სასტუმროს საზოგადოებრივ სივრცეებსა და ოთახებში.





სასტუმროში წარმოდგენილია ხუთი განსხვავებული კონცეფციის რესტორანი და ბარი. ჩვენი ფრანგი შეფი სტეფან გორტინა, რომელსაც მიღებული აქვს მიშლენის ვარსკვლავი თავის გუნდთან ერთად პარაგრაფ თბილისის სტუმრებს დაუვიწყარ კულინარიულ მოგზაურობაში გაუძღვება.

3 სართულზე განლაგებული უმაღლესი კატეგორიის პარაგრაფ სპა, ბრიტანული ბრენდის „ESPA“-ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში. სპაში დამსვენებლებს დახვდებათ დახურული და ღია აუზი პანორამული ხედებით თბილისზე, სხვადასხვა ტიპის საუნები, ფიტნეს და იოგას დარბაზი, 5 მულტიფუნქციური საპროცედურო ოთახი-ინდივიდუალური ტერასით. სპაში ასევე დაგხვდებათ სარელაქსაციო სივრცე, სპა კაფე და საქართველოში პირველი ინდივიდუალური მომზადების მაღალტექნოლოგიური „Prama“ სტუდია.

„**The Luxury Collection**“ არის ბრენდი, რომელიც შედგება უმაღლესი ხარისხის სასტუმროებისა და კურორტებისგან, ის დამსვენებლებს უნიკალურ, ავთენტურ გამოცდილებას სთავაზობს, რომელიც სტუმრებს ძვირფას და დაუვიწყარ მოგონებებს შეუქმნის. „**The Luxury Collection**“ მოგზაურებისთვის არის დამაკავშირებელი ხიდი მსოფლიოს ყველაზე საინტერესო და სასურველ ადგილებთან, 2023 წლის ნოემბრიდან „**The Luxury Collection**“-ის სასტუმროების რუკაზე უკვე თბილისიც გამოჩნდა – „Paragraph Freedom Square, a Luxury Collection Hotel“-ის სახელით.

„პარაგრაფ თბილისი“ ტურიზმის განვითარების ფონდის, რიგით მეორე პარაგრაფის ბრენდის სასტუმროა შეკვეთილის შემდეგ. პარაგრაფ თბილისის საინვესტიციო ჯამური მოცულობა 150 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, სადაც დასაქმებულია 450 ადამიანი, უახლოეს მომავალში დაგეგმილია პარაგრაფის ქოლგის ქვეშ კიდევ არა ერთი გამორჩეული სასტუმროს გახსნა.

# „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონში ცვლილებები შედის

**აგრარულ საკითხთა კომიტეტმა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონში ცვლილება განიხილა.**

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა განაცხადა, მოქმედი კანონის შესაბამისად, ბრენდის ეტიკეტზე მითითება „ქართული ბრენდი“ შესაძლებელი იქნება 2024 წლის 2 იანვრიდან იმ შემთხვევაში, თუკი ბრენდის საწარმოებლად გამოყენებული სპირტის არანაკლებ 85% საქართველოში მოყვანილი ყურძნისგან არის დამზადებული. აღნიშნული ნორმის ამოქმედებამდე კი ეტიკეტზე „ქართული ბრენდის“ მითითება შესაძლებელია, თუ ბრენდის არანაკლებ 50% საქართველოში მოყვანილი ყურძნისგან დამზადებული ღვინის დისტილატის გამოყენებითაა წარმოებული.

**„ამ საკითხის ირგვლივ ღვინის ეროვნულ სააგენტოში სექტორის წარმომადგენლებთან შედგა შეხვედრა და დაისვა საკითხი, რომ კანონის მოთხოვნაში ზღვრის ნახტომისებური ზრდა არ იყოს და ბრენდის შემადგენლობაში საქართველოში მოყვანილი ყურძნისგან დამზადებული სპირტის შემცველობა ყოველწლიურად გარკვეული პროცენტულობით გაიზარდოს გამომდინარე იქიდან, რომ საექსპორტო წარმოებას შეფერხებები არ ჰქონდეს. ამგვარად, შემოთავაზებული კანონპროექტით ხდება ვალდებულების ვადის გადავადება, მაგრამ მომდევნო ხუთწლიან პერსპექტივაში ყოველწლიურად 5-10%-ით მოხდება ბრენდის შემცველობაში შესაბამისად გამოყენებული სპირტის ზღვრის დადგენა“,** – განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დღეისათვის ქვეყანაში აღნიშნული პროდუქტის მწარმოებელი 60-მდე კომპანიაა და სწორედ მათთან არაერთი კონსულტაციის შედეგად ჩაითვალა მიზანშეწონილად, რომ გადავადდეს კანონის შესაბამისი ნორმა და „ქართული ბრენდის“ საწარმოებლად გამოსაყენებელი საქართველოში მოყვანილი ყურძნისაგან დამზადებული სპირტის პროცენტული მაჩვენებლის ზღვრის დადგენა ეტაპობრივად მოხდეს, რაც საშუალებას მისცემს კერძო სექტორს დაბალანსებულად, ასევე ეტაპობრივად განახორციელოს რეფორმა. ყოველწლიური ზღვრის ზრდა კი შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვრება. კანონპროექტი გამარტივებული წესით, ერთი მოსმენით იხილება.






# პროგრამები პროფესიული განათლებისთვის

**„ბლაუენშტაინ ედუ“, კოლეჯ „ერქვანის“ ბაზაზე, USAID-ის პროგრამა „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ თანამშრომლობის ფარგლებში შვეიცარიული სტანდარტის, ავტორიზებულ პროფესიულ პროგრამებს დანერგავს, მეცხოველეობისა და ხორცის დამუშავების მიმართულებით. ამის შესახებ ინფორმაციას პატარკაციშვილის ფონდის პრესსამსახური ავრცელებს.**

რაჭაში, Blauenstein-ის საფერმე მეურნეობის ტერიტორიაზე, სოფელ შარდომეთში მხარეებს შორის თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა.

პარტნიორობის ხელშეკრულებას, „მეცხოველეობის განვითარება საქართველოს რეგიონებში“ პროექტის ფარგლებში, ხელი მოაწერეს USAID-ის პროგრამის “დამსაქმებელი პროფესიული განათლებისთვის“ დირექტორმა, დევიდ ბლოდმა და Blauenstein Edu-ს დირექტორმა, თათია არაბიძემ.

ასევე, ღონისძიების ფარგლებში გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება Blauenstein Edu-სა და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდს შორის. პროგრამის მიზანია საქართველოში დაინერგოს მეცხოველეობისა და ხორცის წარმოების თანამედროვე სასწავლო კურსები და შეიქმნას ღირებული დასაქმების შესაძლებლობა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს USAID-ის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კოლეჯ „ერქვანის“, Blauenstein-ის, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის, რაჭა-ლეჩხუმ ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა.

**„პროექტის ფარგლებში განხორციელდება ორი გრძელვადიანი და ხუთი მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლების პირველი ეტაპი დაიწყება 2024 წლის ოქტომბერში, 2 წლის განმავლობაში კი 270-მდე სპეციალისტი მომზადდება და გადამზადდება, ავტორიზებული პროფესიული პროგრამები და სახელმძღვანელოები შვეიცარიელი ექსპერტების ჩართულობით მომზადდება,** – აცხადებს „ბლაუენშტაინ ედუს“ დირექტორი, თათია არაბიძე.

# კიკიმორებმა მელია ჭაობიდან მგლის ბილეთით გააგდეს!



**„ნაცები“ საკუთარი პარტიის ბნელ ოთახში დამალულ კატებს ეძებენ, რომელთაც უნდა დააბრალონ პარტიის დაღმასვლა.** ხან **ნიკა მელიაში**, ხან **გაჩო დოლიძეში**, ხანაც **ნუგზარ წიკლაურში** ხედავენ პრობლემას და არ მალავენ, რომ სულ ახლახანს ვითომც გაერთიანების მიზნით შექმნილი მანიფესტი, სინამდვილეში, დიდი განხეთქილების დასაწყისი იყო და სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების ჩამოსაშორებლად მომზადდა.

„ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარემ **ლევან ხაბეიშვილმა** პირდაპირ ეთერში მოაწერა ხელი ფურცელს, რომელზეც ეწერა, რომ ნიკა მელია პარტიის წევრი აღარ არის.

სხვაგვარად ხედავს პროცესებს „ევროოპტიმისტების“ წევრი ხატია დეკანოიძე. ის ამბობს, რომ დაუშვებელია ადამიანების პარტიიდან გაგდება, გარიყვა, რაც მას კომუნისტური პარტიის ხელწერას ახსენებს. ამიტომ ხატია დეკანოიძე გახლეჩისგან „ნაცმოძრაობის“ გადარჩენის ერთადერთ გზას პარტიის თავმჯდომარის პოსტის გაუქმებაში ხედავს. ეს კი ნიშნავს, რომ ლევან ხაბეიშვილის, როგორც მთავარი ამრევის, პოსტი ვაკანტური უნდა აღმოჩნდეს.

„ნაცმოძრაობის“ წევრი **კოგა ნაყოფია** პარტიიდან მგლის ბილეთით ადამიანების გარიცხვის რიტორიკას არასწორად მიიჩნევს და აპირებს, სადაც ჯერ არს, დააყენოს იმ ადამიანების პასუხისმგებლობა, ვინც „ნაცური“ მოლაპარაკებები ჩაშალა და არაფერი გააკეთა პარტიის ერთიანობისთვის. ნაყოფიას არც „ნაცმოძრაობის“ მოქმედი მენეჯმენტის რიტორიკა მოსწონს პარტიიდან გარიცხულების შესახებ და ამბობს – **„თვითონ გარიცხეს თავისი თავიო, რა ლაპარაკია ეს?!“**

ამ შეგონებას არ ცნობენ „ნაცები“ და ჯიუტად იმეორებენ, რომ ვინც მანიფესტს არ მოაწერა ხელი, პარტიის წევრად ვერ დარჩება.

რამდენად სწორია ხატია დეკანოიძე, როცა ამბობს, რომ „ნაცმოძრაობის“ პრობლემა ლევან ხაბეიშვილშია? ვისი ჩამოშორება უფრო წაადგება პარტიას - ხაბეიშვილის, მელიას, გაჩო დოლიძის, თუ ნუგზარ წიკლაურის?

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ ანალოგიურ კითხვას – რა წაადგება პარტიას? – შველის ერთი რეცეპტი, კერძოდ, ის, რომ რასაც სახელი, ე.წ. ბრენდი აქვს და, რაც მოსახლეობისთვის ნაცნობია, ის უფრო მეტად ფასობს. ანუ ცუდად ნაცნობიც კი უფრო სასურველია პარტიისთვის, ვიდრე მეტ-ნაკლებად უცნობი და ახალი სახე. აქედან გამომდინარე, თუნდაც იგივე ნუგზარ წიკლაური ნაცნობი, გარკვეული, ცხადი მოვლენაა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხაბეიშვილმა კი ჯერჯერობით ანალოგიური იმიჯი ვერ დაიმკვიდრა.

**„ასე რომ, მაინც მგონია, ძველი კადრების შენარჩუნება პარტიისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე ძველების ახლით ჩანაცვლება იმ პირობებში, როცა ეს ახალი არ იციან, ვინ არის. სააკაშვილი ამიტომაც ცდილობს, ძველი კადრები ისევ გვერდით დაიყენოს. ძველების ახლით ჩანაცვლება კარგია ხოლმე მაშინ, როცა ეს ხდება ქვედა სართულებზე, მაგრამ იმ ძველი სახეების ახლით შეცვლა, რომლითაც პარტია უნდა წარდგეს ამომრჩევლის წინაშე, წამგებიანია, რადგან ახალ სახეებს რეიტინგი შეიძლება არც ჰქონდეთ“,** – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ For.ge-სთან საუბრისას.

რაც შეეხება ხატია დეკანოიძის ინიციატივას, „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარის პოსტის გაუქმების შესახებ, რამაზ საყვარელიძე ეჭვობს, ლევან ხაბეიშვილის ჩამოშორება პარტიის თავმჯდომარეობიდან დიდი გამოსავალი იყოს, რადგან პარტიის შიგნით ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის, წმინდა პოლიტიკური, ფინანსური და ელექტორალური, ანუ ამომრჩევლის ფაქტორი, ამდენად, ლევან ხაბეიშვილის თავმჯდომარეობიდან ჩამოცილების ცალკე ფრაზის სროლა ყველას შეუძლია, მაგრამ ამის შედეგი რა იქნება, არავინ იცის.

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ „ნაცმოძრაობის“ პრობლემა საკუთარ სტერეოტიპებში ყოფნაა, ისინი თავიანთ ნაჭუჭში არიან, ამ ნაჭუჭიდან ვერ გამოდიან, ახალი პოლიტიკური აზროვნება კი მათ არ გააჩნიათ.

**„ნაცებს“ არ სჭირდებათ რეფორმები, როგორც ავტორიტარული ტიპის პოლიტიკურ პარტიას, ეს პარტია ძალზე ტოქსიკური, სახიფათო და ჩამყაყებულია. ამ ჭაობში არიან, როგორც კიკიმორები და ყიყინებენ. მე პირადად არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს ლევან ხაბეიშვილის, ის უნდა იყოს „ნაცმოძრაობაში“, რათა ეს პარტია კიდევ უფრო ჩაიძიროს პოლიტიკურ ჭაობში. ხაბეიშვილი ვანო მერაბიშვილის ტრუბადურია, „ნაცმოძრაობამ“ თავისი ძალიან ცუდი მისია უკვე შეასრულა და ამოწურა საკუთარი თავი და მას ვერც მელიას გაშვება უშველის და ვერც ხაბეიშვილის“,** – აღნიშნა **ვახტანგ მაისაიამ.**

**მანანა ნოზაძე**

# ხაბე უნდა გადადგეს! მაგრამ...



## ენმ–ში ხაბეიშვილის გადადგომის მოთხოვნას უარით პასუხობენ

**არანაირ არჩევნებს არ უნდა ველოდოთ 2025 წლის იანვრამდე,**– თქვა პარტიის გენერალურმა მდივანმა **პეტრე ცისკარიშვილმა.** მან პარტიის წესდებაზე გაამახვილა ყურადღება:

**„განსაკუთრებულად, პოლიტიკური პარტიისთვის მნიშვნელოვანია სტაბილურობა და პროგნოზირებადობა, სწორედ ამიტომ გვაქვს ჩვენც წესდება, შიდა მარეგულირებელი ნორმები, რომლის მიხედვითაც გრძელდება ამა თუ იმ ორგანიზაციის ცხოვრება. ჩვენ შემთხვევაში არჩევნები, თავმჯდომარის არჩევნები პირველ რიგში არის ჩანიშნული დაახლოებით ერთ წელიწადში – 2025 წლის იანვარში. სწორედ ლევან ხაბეიშვილის ინიციატივით, ბოლო ყრილობისას წესდებაში ჩაიწერა, რომ თავმჯდომარე ირჩევა 2 წლით. ეს ორი წელი გადის მომავალ წელს – 13-14 თვე დარჩა იქამდე“.**

ანალოგიური განცხადება გააკეთა პარტიის წევრმა **თინა ბოკუჩავამაც:**

**„ნაცვლად იმისა, რომ მთავარი ოპოზიციური პარტია საქართველოში ებრძოდეს რუსულ რეჟიმს და ემზადებოდეს გეოპოლიტიკური უმნიშვნელოვანესი არჩევნებისთვის, ყოველ სამ თვეში ერთხელ არჩევნები უნდა ვატაროთ ამ ადამიანების ლოგიკით? – ალოგიკურია, ეს საკითხი ჩვენთვის ამოწურულია, გადავიდეთ სერიოზულ თემებზე. ამ თემის მუდმივი პედალირება მობეზრდა ჟურნალისტების აბსოლუტურ უმრავლესობას, მაყურებელს, ამომრჩეველს, სიამოვნებას იღებს მხოლოდ ივანიშვილი და მისი რეჟიმი. არ განიხილება და ყოველ სამ თვეში ერთხელ არჩევნები ვერ ჩატარდება მაშინ, როდესაც ჩვენ გენერალური არჩევნები უნდა ჩავატაროთ და მოვიგოთ რუსული რეჟიმის წინააღმდეგ“.**

თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეებმა, ზუგდიდის, ხობისა, ფოთის, ჭიათურის და სხვა ქალაქების საკრებულოების ფრაქცია ენმ-ის წევრებმა ლევან ხაბეიშვილს გადადგომისკენ მოუწოდეს.

# სად მიშა და სად ადამიანების ერთობა?!

**საკუთარი მმართველობის ზენიტში მიხეილ სააკაშვილი ადამიანებს პირადი გემოვნების მიხედვით ყოფდა. მიშა ადამიანების კლასიფიკაციას შემდეგნაირად ახდენდა: ოროსნებად და ხუთოსნებად (და ეს ყველაზე უწყინარი შეფასება იყო მისი მხრიდან), ჩარეცხილებად და ჩაურეცხავებად, აგენტებად და პატრიოტებად, კრიმინალებად და არაკრიმინალებად, ჭეშმარიტ პოეტებად (კაკალაშვილის პოეზია) და არაპოეტებად, გაქსუებულებად და არაგაქსუებულებად... ამ დაყოფის და დაპირისპირების ორომტრიალში გავიდა „ნაციონალების“ ხელისუფლებაში ყოფნის 9 წელი და დღეს მსჯავრდებული სააკაშვილი უკვე ერის გამთლიანებაზე ალაპარაკდა.**

**„ჩემს მთავარ ფუნქციას ვხედავ მაქსიმალურად ფართო ერთობის შექმნაში. ვისთანაც ამ ეტაპზე გაერთიანება ვერ ხერხდება, მოგვიანებით მისასვლელი გზის დატოვებაში, პოლიტიკოსებს უნდა ახსოვდეთ, რომ რაღაც ეტაპზე გაერთიანება გარდაუვალი იქნება“,** – ასეთია სააკაშვილის გზავნილი „ვივამედიდან“.

სააკაშვილი ამბობს, რომ მასთან გაერთიანებაში ამჟამად არის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ვაშაძე**, რომელსაც კრიტიკული გამონათქვამები ჰქონდა მის მიმართ, მაგრამ სააკაშვილმა ეს გამონათქვამები მიივიწყა და წინა პლანზე წამოსწია ვაშაძის წვლილი იუსტიციის სახლების შექმნაში, გიორგი ვაშაძის როლი 2018 წლის საპრეზიდენტო კამპანიის საქმეში, როცა ვაშაძის ხელმძღვანელობით „ნაცებმა“ პირველი ტური, პრაქტიკულად, მოიგეს.

სააკაშვილი ამბობს, რომ გადაკვეთის წერტილებს პოულობს ყველაზე უფრო მოულოდნელ ძალებთანაც კი. ამ შემთხვევაში, იგულისხმება **იაგო ხვიჩიას** „გირჩი“, რომელიც ეროვნული ბანკის გაუქმებისა და ევროზე ეკონომიკის გადაყვანის მომხრეა, როგორც სააკაშვილი.

ექსპრეზიდენტის თქმით, ის იდეურ ერთობას ეძებს და არა საძმაკაცოს, ან კლანურ გაერთიანებას, ამიტომ პოლიტიკოსებს კი არ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი, არამედ პოლიტიკოსებს უნდა აერთიანებდეთ საერთო იდეები და კონკრეტული სამიზნე – ოლიგარქი. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, სააკაშვილი იღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ლიდერობაზე, რადგან „ძალა ერთობაშია“.

რატომ ალაპარაკდა სააკაშვილი ერთობაზე მაინცდამაინც ახლა? გამორიცხული არ არის, მიშასთვის ერის გამთლიანებაზე საუბარი გარდაუვალი აუცილებლობა გახდა მას შემდეგ, რაც სულ ცოტა ხნის წინ ბიძამისი, **თემურ ალასანია** ერის გახლეჩაზე ალაპარაკდა და გულახდილად გვამცნო, რომ გაყოფილ, გახლეჩილ, ერთმანეთს დატაკებულ საქართველოს ამჯობინებდა, რადგან **„ეს არის პლურალიზმი, დემოკრატია, თავისუფლების საზომი“.**

ცხადია, სააკაშვილი არ არის მერაბ კოსტავა, რომ ერის შემრიგებლის მისია იტვირთოს, ამდენად, საინტერესოა, რამდენად გამოუვა „ვივამედში“ მყოფ ექსპრეზიდენტს ეროვნული თანხმობის ლიდერად, ერთგვარ გამაერთიანებლად გადაქცევა?

სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმარი, ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** იხსენებს, რომ სააკაშვილს ადამიანების გაერთიანება არასდროს გამოსდიოდა, ამდენად, დღესაც გაუგებარია, სად მიშა და სად ადამიანების ერთობა?!

ვახტანგ მაისაიას მოსაზრებით, ტრიუმვირატის ერთობა როდესაც იყო, სააკაშვილს მართლაც ჰქონდა პოტენციალი, მშვიდობიანი გზით დაგვებრუნებინა ჩვენი ტერიტორიები, მაგრამ ეს შანსი გავუშვით ხელიდან მიშას პირდაპირი მოქმედებით.

**„სააკაშვილმა ეს ტრიუმვირატი დაშალა და ბურჯანაძე აიძულა, გადასულიყო ოპოზიციაში. აგვისტოს ომის შემდეგ კი სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა და მივიღეთ მცოცავი ოკუპაცია. ამას ემატება ისიც, რომ მისმა ბიძამაც იგივე თქვა, მომწონს დაყოფილი, გახლეჩილი საზოგადოებაო. ამდენად, მიშას და ბიძამისს, ამ პოლიტიკურ იდიოტებს, რომელ ერთობაზე აქვთ პრეტენზია?!“** – აცხადებს **ვახტანგ მაისაია** ჩვენთან საუბრისას.

ანალიტიკოს **რამაზ საყვარელიძის** აზრით, სააკაშვილი მოახერხებს თუ არა ერთობის ლიდერის ფუნქციის საკუთარ თავზე აღებას, ამას მნიშვნელობა არ აქვს. უბრალოდ, ერის გამაერთიანებლობაზე პრეტენზია უფრო ხელსაყრელია სააკაშვილისთვის, ვიდრე საწინააღმდეგო პოზიციის დაკავება. ამიტომ იძახის იმას, რაც ხელსაყრელია მისთვის.

**„სააკაშვილის მხრიდან ასეთი განცხადებები, რომ თავად არის მშვიდობის მტრედი და ყველას გაერთიანება უნდა რუსი ოლიგარქის წინააღმდეგ, ქართველ ამომრჩეველზე გავლენას ვერ მოახდენს, ეს უფრო დასავლეთზეა გათვლილი. ფაქტობრივად, სააკაშვილი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის მედროშეობას იბრალებს, რაც დასავლეთის თვალში მომგებიანია. მით უმეტეს, მომგებიანია ახლა, რადგან საუბარია იმ დასავლეთზე, რომელიც რუსეთთან მებრძოლ უკრაინას მილიარდობით თანხას და იარაღს აწვდის“,** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე** For.ge-სთან საუბრისას.

**მანანა ნოზაძე**

## წარუშლელი კვალი მეცნიერებაში



# ზეციური სამყაროს მკვლევარი

## აკადემიკოსი ევგენი ხარაძე

**უკვე ორი ათეული წელია, რაც მარადისობაში გადავიდა თანამედროვე ქართული ასტრონომიული მეცნიერების ფუძემდებელი, ციური სამყაროთი შთაგონებული მკვლევარი, დიდი მასშტაბის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ხალხის საამაყო შვილი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.**

ე. ხარაძემ თავისი ამოუწურავი ენერგია უკლებლივ შეალია ხალხის სამსახურს. მან ქართული სულიერების არაერთ სფეროს დაამჩნია საგრძნობი კვალი, მაგრამ მისთვის უმთავრესი მაინც საქართველოში უმაღლესი ასტრონომიული განათლებისა და სამეცნიერო კვლევების დაფუძნება იყო, რაც საბოლოოდ მსოფლიოში ცნობილი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის შექმნით დაგვირგვინდა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ასტრონომია არის ცოდნის არა ერთ-ერთი რიგითი სფერო, არამედ სრულიად უნიკალური, უძველესი და უფართოესი მასშტაბის მეცნიერება, რომელმაც უმთავრესი როლი შეასრულა დედამიწის ცივილიზაციის განვითარებისა და კოსმოსურ სხეულთა უსასრულო სიმრავლეში ჩვენი პლანეტის ადგილის განსაზღვრის თვალსაზრისით. მან ბიძგი მისცა ან შესაძლებლობათა დიაპაზონები გაუფართოვა მეცნიერების არაერთ სხვა დარგს. ამიტომ ყველა ერისათვის ასტრონომიის განვითარებაში შეტანილი წვლილი მუდამ სიამაყის საგანს წარმოადგენდა.

ქართველი ხალხისთვისაც კოსმოსური სამყარო მუდამ იყო მახლობელი. ამაზე მეტყველებს ციურ სხეულთა და კოსმოსურ მოვლენათა შესახებ არსებული ინფორმაცია ქართული ენის ლექსიკაში, ზეპირსიტყვიერებაში, ძველ ორიგინალურ ან ნათარგმნ კალენდარულ თუ ასტრონომიულ ტრაქტატებში, მრავალი საუკუნის წინანდელ ქართული ლიტერატურის ძეგლებში, შედარებით გვიანდელი ხანის ენციკლოპედიურ ქმნილებებში (სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ და სხვ.), ვახტანგ VI-ისა და სხვა მკვლევართა ტერმინოლოგიურ, თარგმნითსა თუ ორიგინალურ ნაშრომებში და სხვ. მაგრამ ფუნდამენტური ასტრონომიული განათლებისა და კვლევების დაფუძნება მაინც მეოცე საუკუნეში მოხდა, როცა პროფ. ა. ბენაშვილმა „სფერული ასტრონომიის“ სახელმძღვანელო შექმნა, შემდეგ კი ე. ხარაძემ ზემოხსენებული ისტორიული პროცესი ასტრონომიული ობსერვატორიის დაარსებით დააგვირგვინა.

ე. ხარაძე 1907 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა. მისი ძმის, ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, არჩილ ხარაძის საუბრების გავლენით ე. ხარაძეს ბავშვობიდანვე აღეძრა ციური მოვლენებისადმი ღრმა ინტერესი, უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრებისა და გეოფიზიკურ ობსერვატორიაში მუშაობის დაწყების მერე კი ბედმა გაუღიმა საქართველოში ასტრონომიულ კვლევათა დაფუძნების მოვლენების ცენტრში აღმოჩენილიყო.

საქმე იმაშია, რომ გალილეო გალილეის მიერ ტელესკოპურ დაკვირვებათა დანერგვის მერე სხვადასხვა ქვეყნებში შექმნილი ობსერვატორიები ძირითადად ციურ სხეულთა მდებარეობებსა და მოძრაობებს სწავლობდნენ, XIX ს-ში კი წარმოიშვა ასტროფიზიკა, რომელიც გამოსხივების ფერებად (სხვადასხვა ტალღის სიგრძის მდგენელებად) დაშლის გზით უკვე ამ სხეულების ფიზიკური აღნაგობის შესწავლის საშუალებას იძლეოდა. საბჭოთა კავშირის უმაღლეს სამეცნიერო წრეებში გადაწყდა მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით ქვეყნის სამხრეთში სწორედ ასტროფიზიკური ობსერვატორია დაარსებულიყო. 1930 წლიდან დაწყებულ ასტროკლიმატურ კვლევებში თავდავიწყებით ჩაერთო ახალგაზრდა ე. ხარაძე. მან მჭიდრო კავშირი დაამყარა ლენინგრადელ მეცნიერებთან, გაიარა საჭირო ასტრონომიული წვრთნა, დამაჯერებლად დაადასტურა საუცხოო ასტროკლიმატის არსებობა აბასთუმანში, სადაც წინა საუკუნის დასასრულს ს. გლაზენაპს უკვე ჰქონდა ჩატარებული საოცრად მაღალი გარჩევის დაკვირვებები ორმაგ ვარსკვლავებზე, წონადი წვლილი შეიტანა იმაშიც, რომ სათანადო კომისიას მიეღო გადაწყვეტილება **ობსერვატორიის სწორედ აბასთუმნის მახლობელ ყანობილის მთაზე აგების შესახებ, დაინიშნა კიდეც სულ 25 წლისა ამ „სამომავლო“ ობსერვატორიის დირექტორად, შემდეგ კი თანდათანობით კვლევის რეალურ კერად აქცია იგი და 60 წლის მანძილზე თვითონვე დაუღალავად წარმართავდა მის მუშაობას.**

ამაში კი იგულისხმება უამრავი რამ: დაკვირვების პირველ ინსტრუმენტთა მოპოვება და ზრუნვა დამზერითი ბაზის შემდგომ უწყვეტ გამდიდრებაზე; შესასწავლ კოსმოსურ ობიექტთა ოპტიმალურად შერჩევა; მკვლევარ კადრთა წინასწარ განსწავლა ( ნიმუშად ახალგაზრდა მ. ვაშაკიძის გაგზავნაც კმარა ლენინგრადში სახელოვან ასტროფიზიკოს ვ. ამბარცუმიანთან, რის წყალობითაც იგი თვალსაჩინო მეცნიერად ჩამოყალიბდა); მკვლევართა შრომების პუბლიკაციების უზრუნველყოფა მსოფლიოს ასტრონომიულ გამოცემებში, შემდეგ კი საკუთარი „ბიულეტენის“ დაარსებაც; კავშირის დამყარება ცნობილ ასტრონომიულ ცენტრებთან; სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნა და მისი მომარაგების უზრუნველყოფა მსოფლიოში გამომავალი ასტრონომიული გამოცემებით; თვალსაჩინო მკვლევართა მოწვევა მეცნიერული მოხსენებების წასაკითხად; სამეცნიერო კადრებით უწყვეტი მომარაგებისთვის უნივერსიტეტში ასტრონომიის სპეციალობის დაარსება და სათანადო კათედრის შექმნაც, რომელსაც ათეულობით წელი თვითონვე ხელმძღვანელობდა და რომლის წევრებმა, ე. ხარაძესთან ერთად, შემდგომში თარგმნეს ან თვითონვე შექმნეს ასტრონომიის სხვადასხვა სფეროს სახელმძღვანელოები, და ა. შ.

თავიდანვე ობსერვატორიის ძირითად საკვლევ ობიექტად ჩვენი გალაქტიკა იქცა. შესრულდა ანგარიშგასაწევი შრომები. კერძოდ, თვით ე. ხარაძის სადოქტორო დისერტაცია გალაქტიკაში სინათლის შთანთქმის საკითხებზე სამაგიდო წიგნად იქცა ამ დარგში მომუშავე მეცნიერთათვის. გამოიცა რ. ბართაიასა და სხვა მკვლევართა ჯგუფის მიერ შედგენილი ვარსკვლავთა სპექტრებისა და სხვა სახის კატალოგები; თანდათან გაფართოვდა კვლევების თემატიკაც – შეიქმნა მზის, ცვალებადი ვარსკვლავების, რადიოასტრონომიული, გარეგალაქტიკური, დედამიწის ატმოსფეროს მაღალი ფენების შემსწავლელი მიმართულებანი. ობსერვატორია მრავალპროფილური გახდა. მასში აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ტიპის ცვალებადი ვარსკვლავები, ახალ და ზეახალ ვარსკვლავთა ანთებები, კომეტები და სხვა მნიშვნელოვანი ასტრონომიული ობიექტები. 70-იანი წლებიდან კი ობსერვატორიას შეემატა ვარსკვლავთა ევოლუციის ბოლო სტადიების შემსწავლელი ჯგუფი აკადემიკოს ჯ. ლომინაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო ვარსკვლავთა ზემკვრივი ნაშთების ფიზიკის კვლევაში. წარმატებულად მიმდინარეობს კოსმოლოგიის ზოგიერთ პრობლემათა დამუშავებაც. ეს ყოველივე ობსერვატორიის განვითარების სწორი თავდაპირველი სტრატეგიის დამსახურებაა.

**ე. ხარაძის მაღალი ორგანიზატორული ხელოვნებისა და სულიერ რეზერვთა მრავალფეროვნების დასტური იყო მისი ხანგრძლივი წარმატებული მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯერ ვიცე-პრეზიდენტის, შემდეგ კი პრეზიდენტის, ასევე მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მათ რიცხვში საკავშირო ასტრონომიულ-გეოდეზიური საზოგადოების ხელმძღვანელ პოსტებზე, აგრეთვე სამეცნიერო ჟურნალთა - „აბასთუმნის ობსერვატორიის ბიულეტენისა“ და „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ მთავარ რედაქტორად. იგი ათეულობით წელს ასევე წარმატებით უძღვებოდა ვარსკვლავთა ასტრონომიისა და გალაქტიკების განყოფილებებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიულ საბჭოში.**

**განსაკუთრებით აღსანიშნია, რომ ე. ხარაძეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო მასშტაბით ასტრონომიულ კვლევათა წარმართვის პროცესშიც. იგი მრავალ წელს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის მუშაობას მისი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. შემდგომში ჰქონდა მიწვევა ამ კავშირის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლადაც.**

**ე. ხარაძე არჩეული იყო საქართველოსა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსად.**

**რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იგი თავკაცობდა აკადემიკოსების ირაკლი აბაშიძისა და რონ მეტრეველის ხელმძღვანელობით დაფუძნებული ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციის ასტრონომიულ საბჭოს. მისი ხელმძღვანელობით მსოფლიო ასტრონომიის მთელი შინაარსი ღირსეულად აისახა საქართველოს ისტორიაში პირველად შექმნილი უნივერსალური ენციკლოპედიის თორმეტტომეულში.**

ე. ხარაძემ 1961 წელს დააარსა ქართული ყოველწლიური ასტრონომიული კალენდარი, რომელსაც 30 წელს ხელმძღვანელობდა. იგი დღემდე გამოდის.

ე. ხარაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშეც. მის მიერ შექმნილი ასტრონომიის სასკოლო კურსი ამ დარგის ერთადერთი ეროვნული სახელმძღვანელო იყო მთელ საბჭოთა კავშირში. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურებოდა ჩვენს სკოლას.

ე. ხარაძე არჩეული იყო სსრ კავშირისა და საქართველოს რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოების დეპუტატად. შედიოდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო პრემიათა კომიტეტებში. თვითონაც მიღებული ჰქონდა არაერთი სახელმწიფო ორდენი, პრემია და მედალი.

ე. ხარაძეს მინიჭებული ჰქონდა სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ე. ხარაძე მუდამ ზრუნავდა ასტრონომიის კათედრისა და აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომელთა მეცნიერულ კარიერასა თუ ყოფით პრობლემებზე. უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებში. მისი ბინა ფალიაშვილის ქუჩაზე მეცნიერული წრეების თავშესაყარ ადგილად იყო ქცეული. მას მდიდარი სულიერი სამყარო ჰქონდა, გააჩნდა უდიდესი რეპუტაცია, ახასიათებდა გამოკვეთილი პიროვნული მომხიბვლელობა – მის წინაშე მოწიწებას გრძნობდნენ ყველანი – საქართველოშიც, მოკავშირე რესპუბლიკებშიც, სხვაგანაც. უცხოელი მეცნიერები არაოფიციალურ საუბრებში სტუმართმოყვარეობისა და სიმპოზიუმების გამართვის ხელოვნების დონეს ამ მიზნით საგანგებოდ მოფიქრებული სპეციალური ერთეულით – „ხარაძით“ ზომავდნენ.

ე. ხარაძე გარდაიცვალა 2001 წლის 10 ოქტომბერს. დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მისი სახელი მიენიჭა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კაბინეტსა და სასწავლო აუდიტორიას.

საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა ე. ხარაძის სახელი მიანიჭა მზის სისტემის ასტეროიდული სარტყელის შემადგენელ ერთ-ერთ მცირე ცთომილს.

**ე. ხარაძე საქართველოს ღირსეული წარმომადგენელი იყო მსოფლიოს ყველა კუთხეში. მას ქართველი ხალხი და ასტრონომიული სამყარო არასოდეს დაივიწყებს.**

**შალვა საბაშვილი,**
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი
თბილისი, 20.11.2023.



# სანქციების გამო რუსეთში მანქანები აღარ გადის!



## მეორადი ავტომობილების ინდუსტრია მაინც იზრდება

**აშშ-სა და ევროკავშირის ახალი სანქციების შემდეგ საქართველოდან რუსეთში მანქანების ექსპორტი თითქმის სრულად შეწყდა. ამის მიუხედავად, ქვეყნიდან კიდევ უფრო მეტი მეორადი ავტომობილი გადის.**

**საქართველომ, შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ახალი სანქციების შესაბამისად, რუსეთში მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი რამდენიმე თვის წინ აკრძალა.**

ამერიკაში ნაყიდ მანქანებს შეზღუდვა 2023 წლის 1 აგვისტოდან შეეხოთ, ევროკავშირიდან ტრანსპორტირებულებს კი – 26 სექტემბრიდან.

**რუსეთში ძვირადღირებული, ახალი მანქანების ექსპორტი მანამდეც აკრძალული იყო, ცვლილებებმა კი შეზღუდვა გააფართოვა:**

- **აიკრძალა 1,9-ზე მაღალი ძრავის მქონე „ყველა ახალი და მეორადი ავტომობილის“ რუსეთში ექსპორტიც და რეექსპორტიც;**
- **ყველა ელექტრონული და ჰიბრიდული ავტომობილის რუსეთში გაყიდვა.**
- **სწორედ ასეთი მანქანები ჭარბობს საქართველოს იმპორტსა და რეექსპორტში, მათ შორის რუსეთში რეექსპორტში.**

### რა შეცვალა სანქციებმა?

**სანქციების ამოქმედების შემდეგ საქართველოდან რუსეთში მანქანების რეექსპორტი თითქმის განულდა.**

იანვარი-აგვისტოს შუალედში საქართველოდან რუსეთში ყოველთვიურად საშუალოდ $9.4 მილიონის ღირებულების მანქანები შედიოდა. ამ შვიდ თვეში ჯამში $65 მილიონი და 4840 ცალი ავტომობილი.

აგვისტოში კი მონაცემები სწრაფად შემცირდა – **85 ერთეულ მანქანამდე**, რომელთა საერთო ღირებულებამ $781 000 შეადგინა.

მაჩვენებელი სექტემბერში **26** მანქანამდე ჩამოვიდა, ოქტომბერში კი რუსეთში საქართველოდან რეექსპორტით მხოლოდ **8** მანქანა გაიყვანეს.

### რა ხდება ინდუსტრიაში?

გოლო სამ თვეში რუსეთში მანქანებით ვაჭრობის შემცირების მიუხედავად, საქართველოში ეს ინდუსტრია მზარდია.

მსუბუქი ავტომობილები უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფია საქართველოს იმპორტში.

20 ნოემბერს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 10 თვის მონაცემებით, ეს ჯგუფი საერთო იმპორტის 20.4%-ს იკავებს.

შარშანდელ იდენტურ პერიოდთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების ბიზნესი თითქმის გაორმაგებულია – იმპორტი 98.3%-ით არის გაზრდილი.

2022 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოში $1.3 მილიარდის ღირებულების მანქანები შემოიყვანეს, 2023 წელს კი – $2.6 მილიარდის.

მართალია, ღირებულება გაორმაგებულია, მაგრამ ამ პერიოდში მანქანების რაოდენობა მხოლოდ 29%-ით არის გაზრდილი.

**ეს ორ რამეზე შეიძლება მიანიშნებდეს:**

- **საქართველოში უფრო ძვირადღირებული მანქანები შემოჰყავთ;**
- **ავტომობილები ადგილზეც გაძვირებულია.**

საქართველოში მეტწილად შეერთებული შტატებიდან შემოჰყავთ მანქანები.

### კიდევ რას აჩვენებს მონაცემები?

**მიზეზი, რატომაც ახალ აკრძალვას მთლიან ინდუსტრიაზე უარყოფითი შედეგი არ ჰქონია, ისაა, რომ 2023 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში, საქართველოდან ავტომობილების სრული ექსპორტის ($1.2 მლრდ) მხოლოდ 6% მოდიოდა უშუალოდ რუსეთზე.**

10 თვის განმავლობაში საქართველოდან რუსეთში 4959 ცალი ავტომობილი გაიყიდა.

თავის მხრივ, მთლიანად რუსეთში, მხოლოდ 2023 წლის სექტემბერში, 110 358 მანქანა გაიყიდა. და ეს მონაცემი, წინა წლის ოქტომბერთან შედარებით, 148.6%-ით გაიზარდა.

**„სტატისტას“ მონაცემებით, რუსეთში ავტომობილების იმპორტში ამჟამად ჩინეთი ლიდერობს – 76%-ით.**

**ამავე წყაროს თანახმად, მეორე-მესამე ადგილზე ყაზახეთი და ყირგიზეთი არიან 9.6 და 5.8 პროცენტით.**

**რეგიონის სხვა ქვეყნები შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის შეზღუდვას არ უერთდებიან.**

**მეორე მხრივ, საქართველოდან მანქანები გადის იმ ბაზრებზეც, რომლებიც ინტენსიურად და უფრო მარტივად ვაჭრობენ რუსეთთან ავტომობილებით – სომხეთში, ყაზახეთსა თუ ყირგიზეთში.**

**საქსტატის 10 თვის მონაცემებით, ავტომობილების საექსპორტო ქვეყნებში რუსეთს უსწრებენ აზერბაიჯანი (34%), სომხეთი (16%), უკრაინა (13%) და ყაზახეთი (12%).**

### როგორ შეიცვალა მონაცემები სხვა ქვეყნებთან?

**აგვისტოდან, – ახალი სანქციების დაწესების შემდეგ, – ცვლილებები შეიმჩნევა სხვა საექსპორტო ქვეყნებთან ვაჭრობაშიც აზერბაიჯანთან, რომელიც საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ავტომობილებით ვაჭრობაში, – ვაჭრობის მოცულობა იზრდება.**

იანვარი-ივლისის პერიოდში სომხეთში ყოველთვე საშუალოდ $29.6 მლნ-ის ღირებულების მანქანა შედიოდა, აგვისტოში $17 მლნ-მდე შემცირდა, სექტემბერ-ოქტომბერში კი – $15-15 მლნ-მდე.

რაც შეეხება ყაზახეთს – ბოლო სამ თვეში მანქანების ექსპორტი აქაც გაზრდილია.

**ლუკა პერტაია**



# თხილის ხარისხი გაუმჯობესდა, მაგრამ ექსპორტი მაინც არ იზრდება

**საქართველოდან თხილის ექსპორტი იკლებს. „საქსტატის“ მონაცემებით, 10 თვეში საექსპორტო ბაზრებზე 66.3 მლნ დოლარის თხილისა და კაკლის ექსპორტი განხორციელდა, რაც 2020 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. წლიურად ამ პერიოდში თხილის ექსპორტი 12%-ით შემცირდა.**

თუმცა საყურადღებოა ისიც, რომ თხილის და კაკლის ექსპორტი ბოლო თვეებში გაიზარდა. სექტემბერში საექსპორტო ბაზრებზე 12 მლნ დოლარის თხილი გავიდა, ოქტომბერში კი 14 მლნ დოლარი, რაც წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის **ლევან ქარდავას** თქმით, თურქეთში 2023 წელს ხარისხის პრობლემა დადგა:

**„დაახლოებით 2-3%-ს შიდა დაზიანება, სიდამპლე ჰქონდა. თუმცა, რა თქმა უნდა, უმეტესობა არის უმაღლესი ხარისხის თხილი. საქართველოში დაზიანება კი 5%-მდე იყოო, მაგრამ ქართულ თხილზე საუბრისას გეოგრაფიას აქვს მნიშვნელობა. კახეთში, კერძოდ ლაგოდეხში, გვაქვს უმაღლესი ხარისხის თხილი, მაგრამ იქაც გამოჩნდა ფაროსანა, იქაც საკმაოდ არის დაზიანება და ამიტომ წელს შედარებით უფრო დაბალი ხარისხისაა კახეთშიც, ვიდრე შარშან იყო. მაგრამ ამის მიუხედავად მაღალი ხარისხი შენარჩუნებულია. დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში კი, მოსავლიანობა ძალიან დაბალი იყო. დაზიანება საშუალოდ 5%-ის ფარგლებში მერყეობს. ამაზე ქვევით ვერ ჩავდივართ“,** – განაცხადა **ქარდავამ** და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სწორედ ხარისხი განაპირობებს თურქული და ქართული თხილის საექსპორტო ფასების სხვაობას.

**„თუ შედარებით მაღალ ხარისხზე ვსაუბრობთ, ფასში სხვაობა შეიძლება იყოს 50 ცენტი ან ნაკლები. თუ სამეგრელოს საშუალო ხარისხის თხილს ავიღებთ, 1 დოლარსაც შეიძლება აღწევდეს თურქულ ფასთან სხვაობა.**

**სტანდარტული თხილის (თხილის გულის) ფასი წელს, გარკვეულ პერიოდში, 6 დოლარის ფარგლებში იყო, შემდეგ 6.5-7 დოლარამდე ავიდა, ცოტა ხნის წინ კი კვლავ დაიწია“,** – აღნიშნა **ქარდავამ.**

წელს წინასწარ ნავარაუდევი 50 ათასი ტონა თხილის ნაცვლად, ქვეყანა დაახლოებით 10%-ით ნაკლებ მოსავალს მიიღებს, თუმცა ამ მაჩვენებლით გასული წლის მონაცემებს მაინც გადააჭარბებს. თხილის მწარმოებელთა ასოციაცია ამასაც სახელმწიფოს მხარდაჭერას უკავშირებს. კერძოდ, მიმდინარე წლის პირველი ივნისიდან, მთავრობამ თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტი გაზარდა და ის თითქმის 24 მლნ ლარით განისაზღვრა. პროგრამის ფარგლებში, თხილის ბაღების მფლობელებს, მცენარეთა მოვლის საშუალებების შესაძენად, ბარათზე ერიცხებოდათ ქულები – 1 ჰექტარზე 500 ლარის ოდენობით.

ამან ფერმერების შრომის სტიმულირება მოახდინა.

**„ვინც მოუარა თხილის ბაღებს, დიდი რაოდენობის და მაღალი ხარისხის თხილი მიიღო. თუმცა, იყვნენ ისეთი ფერმერებიც, რომლებმაც ეს შესაძლებლობა არ გამოიყენეს და არ იზრუნეს თხილის ბაღების მოვლაზე, შედეგად, მათ ვერ მიიღეს სათანადო ხარისხის მოსავალი. წელს ისევ გამოწვევად რჩებოდა ხშირი ნალექიც, რა დროსაც თხილის ბაღებს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. ამ მიზეზის გამო, მინდა მოვუწოდო ფერმერებს, რომ მეტად ჩაერთონ დარგის განვითარების საქმეში“,** – განაცხადა „თხილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ **მერაბ ჭითანავამ**.

ოფიციალური სტატისტიკით, მიმდინარე წლის იანვარ-ოქტომბერში თხილის მთავარი სარეალიზაციო ბაზარი ევროკავშირის ქვეყნები იყო. გარდა ამისა საექსპორტო ქვეყნების ჩამონათვალშია სომხეთი, რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა, საუდის არაბეთი, ბელარუსი, არგენტინა, მაროკო და ა.შ.

**ეკა ბაქრაძე**

# თელავის აეროდრომის ტერმინალის დიზაინზე კონკურსი გამოცხადდა

**თელავის აეროპორტის ახალი ტერმინალის კონცეპტ-დიზაინის და პროექტირების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით კონკურსი გამოცხადდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს აეროპორტების გაერთიანება იწვევს ყველა დაინტერესებულ კონკურსანტს, რომელსაც პროექტირების სფეროში სულ მცირე ბოლო 3-წლიანი გამოცდილება აქვს. ასევე, მსგავსი მომსახურების გამოცდილება გააჩნია. კონკურსანტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს 4500მ2-ზე მეტი ფართის მქონე მრავალფუნქციური საზოგადოებრივი შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების გამოცდილებაც.

ღია ელექტრონულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც ქართულ ისე უცხოურ კომპანიებს.

საკონკურსო პირობების თანახმად, კონკურსანტს უნდა ჰყავდეს თანამშრომელი, რომელსაც გააჩნია არქიტექტორად მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება და დაპროექტებული ექნება მინიმუმ ერთ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი შენობა.

მოსამზადებელი პროექტი მოიცავს აეროპორტის კონცეპტუალურ და სქემატურ დიზაინს. მომწოდებელმა უნდა მოამზადოს შენობის და მიმდებარე ტერიტორიის გეგმარების კონცეპტუალური პროექტი, რაც გულისხმობს სხვადასხვა კომპონენტების მომზადებას.

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 22 დეკემბერი.

**საქართველოში ბევრი ეძებს თავისი ოჯახის ხანდაზმული წევრის ან ახლობლისთვის ადგილს, სადაც მას „ღირსეულად მოუვლიან“. თუმცა, ასეთი ადგილის პოვნა რთულია. ხანდახან – შეუძლებელიც.**

**„ხომ არ იცით, დედა რომელ მოხუცთა სახლში წავიყვანო? დემენცია აქვს“.**

**„მამაჩემს ველარ ვუვლი, ნორმალურ ხანდაზმულთა სახლს ვეძებ, რას მირჩევთ?“**

**„არ მინდა ბებია „თავშესაფარში“ გვყავდეს, შინმოვლის სპეციალისტი ხომ არ გეგულებათ?“**

**ჯანმრთელობის საკითხებზე სოციალურ ქსელებში შექმნილ ჯგუფებში ასეთ კითხვებს ხშირად შეხვდებით.**



# „ბოლო სახლი“ მოხუცთათვის



ჰოსპისში

Mzia Saganelidze (RFE/RL)

საქართველოში მოქმედი ხანდაზმულთა სახლების უმეტესობა ჯერ ძალიან შორს დგას მაღალი სტანდარტებისგან – მათ ნაწილს, განსაკუთრებით კერძო სახლებს, სახელმწიფო არ აკონტროლებს. ცოტაა კვალიფიციური კადრებიც.

ამიტომ, მკაფიო პასუხი, როგორ უვლიან იქ მოხუცებს, განსაკუთრებით კი, ქრონიკული და უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანებს, არ არსებობს.

**„არ გვიყვარს სიტყვა „თავშესაფრის“ ხმარება, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი სახლები საქართველოში ჯერჯერობით ზუსტადაც რომ თავშესაფრებია“,** – ეს სიტყვები ერთ-ერთი ხანდაზმულთა სახლის დამფუძნებელმა გვითხრა.

ღია ინტერვიუ არ ისურვა, თუმცა პირად საუბარში შენიშნა, რომ ასეთი სახლების უმრავლესობა მხოლოდ აუცილებელს, მინიმალურს სთავაზობს მოხუცებს და ამ მხრივ, არც მისი ხანდაზმულთა სახლია გამონაკლისი.

**– მაგალითად, თქვენ რას შეცვლიდით?**

– ბევრი სირთულეა. თუ პირობებზე მეკითხებით, მაგალითად, ერთ ოთახში სამი ხანდაზმულის ნაცვლად, ერთი მოხუცი მეყოლებოდა. სპეციალური საწოლები... მატრასები. მოვლის სპეციალისტები. ათასი რამეა. მარტო კვება ხომ არ არის მთავარი?

## „მოვლა“ არ არის, არც მხოლოდ კვება, არც მხოლოდ დაბანა...

**გადავწყვიტე, ისეთ ადგილას მივსულიყავი, სადაც უკურნებელი სენით დაავადებული ადამიანების მოვლისა და ზრუნვის ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ. ერთ–ერთი ასეთი ადგილი თბილისში ჰოსპისი „ფერისცვალებაა“.**

დილით ადრე მივედით, პაციენტების მოვლის რუტინა წუთი-წუთზე უნდა დაწყებულიყო.

იქ შინმოვლის სპეციალისტი **თამარ ჯაყელი** დაგვხვდა თანამშრომლებთან ერთად. აქ ძირითადად ისეთი ხანდაზმულები მოჰყავთ, რომელთა მოვლას საგანგებო ცოდნა სჭირდება. ჰოსპისს სულ ექვსი ადამიანის მიღება შეუძლია.

**„იცით, რამდენ მოხუცს უთხოვია – დამელაპარაკეო? ზოგს ურჩევნია, უფრო გვიან გამოუცვალო, ოღონდ დაელაპარაკო“,** – მეუბნება **ქეთევანი** და დილის საქმეებს უბრუნდება.

სანამ მოხუცთა ოთახებში შეგვახედებენ, თამარ ჯაყელს მოვლის სტანდარტებზე ვეკითხებით, გვყავს კვალიფიციური პერსონალი? თუ კი, მაშინ გამუდმებით და უშედეგოდ რატომ ეძებენ ხოლმე ასეთ ადამიანებს ისინი, ვისაც ეს სჭირდება? არ უარყოფს, რომ ეს ჯერ გადაუჭრელი პრობლემაა.

მოვლის უნარების სწავლას დრო სჭირდება. ხანდახან არც ისე ცოტა. ჰოსპის „ფერისცვალების“ გუნდს, ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვთ, გადამზადებაში დახმარებას ხანდაზმულთა სხვა სახლებიც სთხოვენ ხოლმე. ოღონდ ძირითადად ისინი, ვინც სახელმწიფო პროგრამაში არიან ჩართული.

**„ალბათ, მალე კერძო სახლებიც დაიწყებენ ამაზე ზრუნვას, რადგან მალე მათაც აღარ ეყოლებათ პერსონალი. ამ სფეროში ერთ-ერთი დიდი პრობლემა „გადაწვაა“. ხშირად 24 საათი უწევთ მუშაობა“,** – მეუბნება **თამარ ჯაყელი.**

**– ბევრი მიდის უცხოეთში სამუშაოდ, სადაც მოვლაში გაცილებით მეტს უხდიან,** – საუბარში **მარიამ ფალავანდიშვილი** გვიერთდება, ჰოსპისის დირექტორი.

– ამ პროფესიაში ყოფნას სტიგმაც ემატება. ააaa, შენ მომვლელად მუშაობ? ყველა, ცხადია, ასეთ დამოკიდებულებას ვერ უმკლავდება. მე მაგალითად, ისეთ ოჯახში ვიზრდებოდი, სადაც მოვლა ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო, რადგან ჩემს დას ჰქონდა დაუნის სინდრომი – ეს ჩვეულებრივი ყოფა იყო, – საუბარს **თამარ ჯაყელი** აგრძელებს.

**– მაგრამ როცა ოჯახის წევრს უვლი, ეგ კიდევ სხვა რამეა, უცხოს მოვლა უფრო რთული არ არის?**

– რატომ ვყოფთ ხოლმე? ისიც ხომ ადამიანია?

**– შეიძლება იმიტომ, რომ ჩვენი ოჯახის წევრები მეტად გვიყვარს.**

– ხო, მაგრამ ამ საქმეში ბოლოს ემპათიამდე მიდიხარ. იცით, ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ მეც შევდივარ ასაკში.

**– კარგი მოვლა როგორი მოვლაა?**

– როცა გაწერილ სტანდარტს ემორჩილები. თუმცა თითოეულ ადამიანს მაინც ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ყველასთან ერთი გეგმით ვერ მიხვალ. და კიდევ, როცა შენ ამ საქმეს აკეთებ იმიტომ, რომ ვიღაც მოიმადლიერო, მანდ ყველაფერი მთავრდება.

ჯანდაცვის საერთაშორისო ექსპერტი **ნინო მირზიკაშვილი,** რომელსაც ხანდაზმულთა სახლების საკითხზე მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, რადიო თავისუფლებას ეუბნება, რომ ერთ-ერთი კვლევისთვის თბილისსა და რეგიონებში, 29 მოხუცებულთა სახლი დათვალეს. ხანდაზმულთა სახლების საკითხს სახელმწიფო არეგულირებს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით“ (პრემიერ-მინისტრის №69 ბრძანებულება), რომლითაც, სახელმწიფო, სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას, ერთ ხანდაზულზე დღეში 30 ლარს უხდის.

კერძო ხანდაზმულთა სახლებს, რომლებიც ამ პროგრამაში ჩართულები არ არიან, მომსახურების გადასახადს, როგორც წესი, მოხუცების ოჯახები უხდიან, ან თავად პენსიონერებისგან იღებენ მათ კუთვნილ პენსიას. ასეთი სახლებს და იქ არსებულ პირობებს სახელმწიფო არ აკონტროლებს.

## „დღეგრძელთა სახლი“ ანასეულში

**სოფელ ანასეულის ხანდაზმულთა ან, როგორც მას მისივე დამფუძნებელი მარინა თოფურია უწოდებს, „დღეგრძელთა სახლი“, 2011 წლიდან არსებობს.**

ამ ხანდაზმულთა სახლს, გარდა იმისა, რომ ის სახელმწიფოს სთავაზობს შესაბამის სერვისს (როგორც მსგავსი ტიპის სხვა სახლები) და ამაში იღებს დაფინანსებას (დღეში 30 ლარი – ერთ მოხუცზე), აქვს ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი მხარდაჭერაც.

**მარინა თოფურია** იხსენებს, მაშინ ძალიან ბევრ საელჩოს მივმართეთ დახმარებისთვისო. მათ შორის, ამერიკის, იაპონიის, გერმანიის საელჩოებს, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს, ორგანიზაციას „პური მსოფლიოსთვის“, ევროკავშირს (პროექტი „სოციალური მომსახურება ადამიანის უფლებებისათვის“). ეს მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმით დღემდე გრძელდება და ამაზეც ყველა თანხმდება, რომ ანასეულის ხანდაზმულთა სახლის წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი ესეცაა.

პირველ წელს მხოლოდ 5 ხანდაზმული ჰყავდათ. დღეს ანასეულის „დღეგრძელთა სახლში“ 22 მოხუცი ცხოვრობს.

**„შინ მოხუცი ყოველთვის უფრო ბედნიერია. როგორი პირობებიც არ უნდა შეუქმნა მას გარეთ – მას შინ ურჩევნია. მე მჯერა, რომ როცა ხანდაზმულ ადამიანს ჰყავს შვილი, ის არ უნდა იყოს ხანდაზმულთა სახლში და დღემდე სწორედ ეს არის გამოწვევა, რაც შინმოვლის სერვისის განვითარებამ უნდა შეცვალოს“.**

ზოგ ხანდაზმულს სახელმწიფო 100%-იანი ვაუჩერით აფინანსებს და მას არაფრის გადახდა არ უწევს, ზოგს კი (ეს დგინდება სოციალურად დაუცველებისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის მიხედვით), 80%-ით და ამ შემთხვევაში მას საკუთარი პენსიიდან დღეში 5 ლარის გადახდა უწევს.

ანასეულის ხანდაზმულთა სახლის ბინადრების 99%-ს დემენცია აქვს. ნაწილი უკვე ლოგინსაა მიჯაჭვული, ყველას თავისებური მოვლა სჭირდება. ამისთვის კი მუდმივად პერსონალის გადამზადებაა საჭირო, მულტიდისციპლინური გუნდის ყოლა, რისი შესაძლებლობაც, ანასეულის სახლისგან განსხვავებით, ცხადია, ბევრ ხანდაზმულთა სახლს არ გააჩნია.

**„მუდმივად ვეძებთ ახალ მხარდამჭერებს, რომ ეს პროცესი, განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა – არ შეფერხდეს, რადგან ვიცით, რომ მხოლოდ ზრუნვა საკმარისი არ არის“.**

ყველაზე რთული კი, როგორც მარინა თოფურია გვიზიარებს, მოხუცების ცხოვრებაში მათი ახლობლებისა და ნათესავების ჩართვაა. ისინი მხოლოდ პენსიის მეორე დღეს მოდიან, ფულის გამოსართმევად. ანასეულის ხანდაზმულთა სახლის პერსონალს თავიდან ეს ძალიან აღიზიანებდა, მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ პენსია იყო ერთადერთი საშუალება თავად ხანდაზმულისთვის, რომ ახლობლები ენახათ.

## „სახლში მარტო ყოფნას ნამდვილად სჯობს“...

**კვლევითმა კომპანია „დართმა“ თბილისში მცხოვრებ, 417 შუახნის ადამიანს ჰკითხა, მათი აზრით, არის თუ არა მოთხოვნა საქართველოში ხანდაზმულთა მაღალი კლასის (სასტუმროს ტიპის) სახლზე.**

გამოკითხულთა 94% ამ იდეას დადებითად აფასებს.

დაახლოებით 4% – უარყოფითად. დანარჩენს პასუხის გაცემა უჭირს.

კითხვაზე – მაინც რატომ მოსწონთ ასეთი სახლის არსებობის იდეა, კვლევის მონაწილე ადამიანები ასე პასუხობდნენ:

**„პირადად ჩემს თავზე ვერ წარმომიდგენია, მირჩევნია მარტო ვიყო და ჩემს სახლში, თუმცა ზოგადად მთელ მსოფლიოში ეს პრაქტიკაა და გამართლებულია, ამიტომაც დავეთანხმებოდი“. „ჩემს გარშემო არიან მოხუცები, რომელთაც არ ჰყავთ შვილები/პატრონი და ასეთი ადამიანებისთვის ძალიან კარგი იქნებოდა ეს შესაძლებლობა“.**

ვისაც არ მოსწონს, მისი არგუმენტი კი ის არის, რომ „ყველამ თავის მოხუცს უნდა მიხედოს“.

**„იქ მხოლოდ ისეთი ადამიანები მოხვდებიან, რომლებსაც ფული და პატრონი ჰყავთ. გარეთ დარჩება ისეთი ადამიანი, ვისაც მართლა სჭირდება ეგეთი სახლი, ამიტომ ასეთ რამეს ყოველთვის უარყოფითად შევაფასებდი“. „ოჯახში უნდა ცხოვრობდეს მოხუცებული, რომ სითბოში იყოს, ასეთ სახლს მე არ ავაშენებდი, ყველა თავის სახლში უნდა იყოს“.**

კითხვაზე, ხანდაზმულ ასაკში, შესთავაზებდით თუ არა თქვენს ოჯახის წევრს (რომელსაც არანაირი სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემა არ აქვს) ამ ტიპის სახლში ცხოვრებას, 48%-მა თქვა, რომ არა.

**„ძალიან დიდი სიფრთხილით მოვეკიდებოდი, დიდი სტიგმაა ჯერ კიდევ ამ საკითხის მიმართ. თუ განსაკუთრებით, ასეთ ასაკში მყოფი ადამიანები არ არიან წყვილად, თუ ქვრივია... მაინც სიფრთხილით მოვეკიდებოდი, რადგან მისთვის უფრო მტკივნეული იქნებოდა სხვაგან გადასვლა“.**

32%-მა თქვა, რომ კი, შესთავაზებდა.

**„ძალიან რთულია მოხუცსაც მოუარო და სახლსაც მოუარო და რატომაც არა, თუ ნორმალურ გარემოში იცხოვრებს, ამაში ცუდი არაფერი არ არის და არ მივიჩნევ, რომ მანდ წაყვანა არის გაგდება სახლიდან“.**

გამოკითხული ადამიანებიდან 9%-ზე უფრო მეტმა თქვა, რომ უფრო არა, ვიდრე კი. ხოლო 10%-ს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა.

რადიო თავისუფლებამ ჯანდაცვის სამინისტროსაც ჰკითხა, როგორია დღეს სახელმწიფოს პოლიტიკა და გეგმა ხანდაზმულთა სახლებთან მიმართებით.

**მესამე კვირაა უშედეგოდ ველით პასუხებს იმაზე, იგეგმება თუ არა, მაგალითად, კერძო სახლების მონიტორინგი, შეეხება თუ არა ყველას ერთი სტანდარტი, გვაინტერესებდა, როგორია თავად სამინისტროს შეფასება მათ პროგრამაში ჩართული ხანდაზმულთა სახლებისა. თუ არსებობს ხედვა, როგორ შეიძლება იმ პრობლემების მოგვარება, რაზეც თითქმის ყოველ წელს წერს სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში, ხოლო 2022 წელს, ხანდაზმულთა სახლების მონიტორინგს სპეციალური ანგარიშიც მიუძღვნა. იმის დაზუსტებაც გვინდოდა, რამდენი ხანდაზმულთა სახლი მოქმედებს დღეს საქართველოში, მაგრამ სამინისტროსგან ეს პასუხები არ მიგვიღია.**

**ეკა ქევანიშვილი**

**რადიო თავისუფლების ჟურნალისტი**



Mzia Saganelidze (RFE/RL)

„ყველაზე რთული მაინც ემოციური მომენტია, როცა ადამიანს ვერ შველი“, – მეუბნება ქეთევან ჯაფარიძე, მოწყალების და.



# რუსეთში ყველას ეპატია: ნაცისტებს, სადისტებს, სატანისტებს, ახლა კი, როგორც ჩანს, კანიბალების რიგია!..



დენის გორინი, ნასამართლევი ოთხი მკვლელობისა და კანიბალიზმის გამო

# ЗАЧЕбУРАШИМ!

**რუსეთის ხელისუფლებამ, ომში მონაწილეობის მიზნით, პატიმრობიდან გაათავისუფლა დენის გორინი, სერიული მკვლელი და კანიბალი, რომელიც მეორე სასჯელს იხდიდა მკვლელობისა და გვამის ნაწილწვისათვის.**

**ასევე ცნობილი გახდა, რომ ვლადიმირ პუტინმა შეიწყალა კანიბალიზმისთვის მსჯავრდადებული კიდევ ერთი პატიმარი, ქალაქ იაროსლავლის მკვიდრი, ნიკოლაი ოგოლობიაკი, რომელმაც 2008 წელს, თანამზრახველებთან ერთად, სიცოცხლეს გამოასალმა სკოლის ოთხი მოსწავლე გოგონა.**

**ცნობილ რუს ჟურნალისტსა და პოლიტიკურ ანალიტიკოსს, ალექსეი ლუშნიკოვს არ გაჰკვირვებია, რომ ომში მონაწილეობის სანაცვლოდ პუტინმა კანიბალები შეიწყალა. „რა გასაკვირია. კანიბალი შორიდან ცნობს კანიბალს. კორპორაციული ძმობა აქვთ“,** – დაწერა მან თავის **TELEGRAM**-არხზე.

სახალინის ოლქის ქალაქ ანივის მკვიდრი, 44 წლის დენის გორინი უკრაინაში ერთ-ერთი კერძო სამხედრო კომპანიის რიგებში იბრძოდა. თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ იგი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა შეიწყალა. გორინმა ჩაიდინა მინიმუმ 4 მკვლელობა, ხოლო ორ შემთხვევაში, როგორც სასამართლომ დაადგინა, შეჭამა მსხვერპლის სხეულის ნაწილები. თუმცა, როგორც გორინის მეზობლები ამტკიცებენ, საქმე ბევრად უარესადაა, რადგან, მათი ვარაუდით, გორინს სულ მცირე 13 ადამიანი ჰყავს მოკლული.

დენის გორინი მინიმუმ მე-17 მკვლელია, რომელიც პუტინმა შეიწყალა და გაათავისუფლა უკრაინასთან ომში მონაწილეობის გამო. გორინი სამჯერ ნასამართლევია: მკვლელობისთვის პირველად 2003 წელს გაასამართლეს და მიუსაჯეს პატიმრობა. სახალინის ოლქის პროკურატურამ მოკლედ აღნიშნა, რომ მკვლელობის შემდეგ ცხედარი დაანაწევრეს. მეტიც, გორინის ყოფილმა მეზობელმა დმიტრი ვ.-მ რადიო თავისუფლების პროექტის Sibir.Realii-ის კორესპონდენტს უთხრა, რომ დენის გორინმა და მისმა ძმამ მსხვერპლის ხორცი შეჭამეს:

**„პროცესზე მან აღიარა, რომ შეჭამეს მოკლული, რომელიც მათი ნაცნობი იყო. მკვლელობა ჩაიდინეს სიმთვრალის გამო. უფროსმა ძმამ, ევგენიმ (მას იმ დროისთვის უკვე გასინჯული ჰქონდა ადამიანის ხორცი) ჯერ თავის ცოლს დააძალა ადამიანის ხორცის ჭამა, შემდეგ უმცროს ძმას, დენისს. დენისის თქმით, მას არ უნდოდა, მაგრამ ძმა მოკვლით დაემუქრა“.**

დმიტრი ვ.-ს თქმით, დენის გორინს, სულ რაღაც, 10 წელი მიუსაჯეს, 2010 წელს გათავისუფლდა, თითქოსდა სანიმუშო ქცევისთვის:

**„მაშინაც შოკში ვიყავით – კაცი მოკლა და შეჭამა, 7 წლის შემდეგ კი თავისუფალი იყო“.**

2010 წელს დენის გორინი დაბრუნდა ანივაში და იმავე წელს დანით მოკლა კაცი, რომლის ძმასთან ერთადაც იჯდა საგამოძიებო იზოლატორში. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მკვლელობის შემდეგ, გორინმა „გადაწყვიტა წარსულის გახსენება, კერძოდ, მსხვერპლისთვის ხორცის ჩამოჭრა და შეჭმა“.

## კანიბალები რუსეთის არმიაში

2011 წელს დენის გორინმა და მისმა ძმამ ევგენიმ მოკლეს კაცი, რომლის გვამი მდინარე ლიუტოგას ნაპირზე დამარხეს. რეგიონული პროკურატურის ცნობით, 2012 წლის დასაწყისში მათ კიდევ ერთი მკვლელობა ჩაიდინეს, რომელიც მხოლოდ 5 წლის შემდეგ გაიხსნა: 2018 წელს სასამართლომ, სამმაგი მკვლელობისთვის დენის გორინს 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სპეციალური რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

**საქმის მასალებიდან: „ჭრილობები მიაყენა გულმკერდის არეში (...) რის შემდეგაც ხელებიდან ბიცეფსები ჩამოაჭრა (...) გახადა შარვალი, ააჭრა კუნთები წვივებიდან და ხორცი თეძოებიდან (...) სახლში რომ მივიდა, ხორცი გარეცხა და მაცივარში შედგა“.**

**„ბინის ჩხრეკისას (ვესწრებოდი მოწმის სახით) აღმოჩნდა, რომ მაცივარი ადამიანის ხორცით იყო სავსე. იქვე უამბო გამომძიებლებს, როგორ აჭრიდა ხორცს მოკლულებს ქვედა კიდურებიდან, როგორ ათვალიერებდა ბიცეფსებს, ჰქონდათ თუ არა ხორცი და ა.შ. ვნახეთ ორმო, სადაც ადამიანთა ნარჩენები იყო დამარხული. ჯამში 12 ადამიანზე იყო საუბარი და არა სამზე, როგორც განაჩენში წერია. ნარჩენებს შორის იყო ძალიან პატარა ჩონჩხი – ვიღაც გოგო მოუკლავთ, - ამბობს გორინის მეზობელი დმიტრი და დიდხანს დუმს, – მაგრამ სასამართლოში დამტკიცება ვერ მოხერხდა. მოსამართლემ მხოლოდ ის მკვლელობები გაითვალისწინა, რომლებიც თავად აღიარეს. საუბარია სამი ზრდასრული მამაკაცის მკვლელობაზე“.**

დმიტრის თქმით, მხოლოდ სამი ნეშტის იდენტიფიცირება მოხდა:

**„მათ (მოკლულებს) ბევრი ნათესავი ჰყავთ როგორც ანივაში, ასევე იუჟნო-სახალინსკში. რატომღაც მგონია, რომ გორინი დიდხანს ვერ იქნება თავისუფალი. რადგან ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს სასჯელის აღსრულებას, ახლობლები როგორღაც თვითონ გაასამართლებენ მკვლელებს. სხვა რა გზაა? ნამდვილი მანიაკები არიან. მისი ძმა ციხეში მოკლეს, ამას კი ხუთი წელიც არ მოუხდია, მაგრამ უკვე თავისუფალია. ერთი წელი შეიძლება მოითმინოს, მერე ისევ მოკლავს ვინმეს“.**

2023 წლის 24 ოქტომბერს დენის გორინმა სოციალურ ქსელში „ოდნოკლასნიკი“ გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც ხაკისფერ სამხედრო ტანსაცმელშია გამოწყობილი. ტელეგრამის არხმა „სახალინი ომის წინააღმდეგ“ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფოტოზე გამოსახულ გორინს უჩანს წმინდა გიორგის ლენტი და საკერებელი (formation patch) წარწერით „დაგაჩებურაშებთ“, რომლებსაც რუსი მებრძოლები იყენებენ.

**„დაგაჩებურაშებთ“ (ЗАЧЕбУРАШИМ) – სიტყვა, რომელსაც რუსი მებრძოლები იყენებენ ფორმაზე საკერებლის სახით მას შემდეგ, რაც რუსეთის კინოგაქირავებაში გამოვიდა ახალი ფილმი „ჩებურაშკა“ (გადაღებული ცნობილი საბჭოთა მულტფილმის მიხედვით), რომელიც უკიდურესად ნეგატიურად იქნა აღქმული უკრაინაში. ულტრაკონსერვატორული რუსული არხი „ცარიგრადი“ განმარტავს: „დაგაჩებურაშებთ“ – ახალი სიტყვაა, რომლისაც რუსეთის ყველა მტერს უნდა ეშინოდეს. უპირველეს ყოვლისა უნდა ეშინოდეთ მათ, ვინც რუს ჯარისკაცებს უპირისპირდებიან უკრაინაში სამხედრო სპეცოპერაციის ფრონტზე. ესაა ჩვენი გმირების უნივერსალური პასუხი, რომელიც შეიძლება გაეცეს ყველას, ვინც ჩვენზე მოვა მახვილით.**

რადიო თავისუფლების პროექტის Sibir.Realii-ის კორესპონდენტი სოციალური ქსელით დაუკავშირდა გორინის დედას და დას, თუმცა მათ არ უპასუხეს კორესპონდენტის კითხვებს.

**„ახლა იუჟნო-სახალინსკშია, ჰოსპიტალში წევს,** – ამბობს **დმიტრი ვ. – მას მსუბუქი დაზიანება აქვს, საშუალო სიმძიმის. იცოცხლებს, მაგრამ ვფიქრობ, დიდი ხნით არა. გადარჩა იქ, რადგან მისნაირ პატიმრებს ჩვეულებრივ წვევამდელებთან ან კონტრაქტით დაქირავებულებთან არ უშვებენ, თორემ იქვე დაკლავდნენ. მე პირადად მოხალისედ ვიყავი ფრონტზე, ახლა სამხედრო ნაწილში ვიმყოფები, კონტუზია მივიღე, ხელები მიკანკალებს, ენა მებმის. რა თქმა უნდა, ფრონტზე არ დავბრუნდები“.**

ცნობილი გახდა, რომ პუტინმა ასევე შეიწყალა კანიბალიზმისთვის მსჯავრდებული, ქალაქ იაროსლავლის მკვიდრი, სატანისტების ბანდის წევრი **ნიკოლაი ოგოლობიაკი,** რომელმაც 2008 წელს, ბანდის წევრებთან ერთად, მოკლა და დაანაწევრა ოთხი მოზარდი, შემდეგ კი შეჭამა მათი სხეულის ნაწილები. როგორც ოგოლობიაკის მამამ ჟურნალისტებს უთხრა, მისი ვაჟი ექვსი თვის განმავლობაში მსახურობდა Storm Z რაზმში, ჭრილობის მიღების შემდეგ კი შინ დაბრუნდა.

2006 წელს „იაროსლაველი სატანისტების“ ბანდა შექმნა 15 წლის **კონსტანტინ ბარანოვმა** (მეტსახელი „ეშვი“), რომელსაც მოგვიანებით შეუერთდნენ **ნიკოლაი „გრაფ“ ოგოლობიაკი** და **ალექსეი „მკვდარი“ ჩისტიაკოვი**. ერთი წლის განმავლობაში სექტაში გაწევრიანდნენ **ანტონ „დოქტორ გოთი“ მაკოვკინი, სერგეი „დისტრის“ კარპენკო** და **ალექსანდრ „ჰიტლერ“ ვორონოვი**. 2008 წლის ზაფხულში ბანდის წევრებმა სასტიკად მოკლეს იაროსლავლის კოლეჯების მოსწავლეები – ოლგა პუხოვა, ვარვარა კუზმინა, ანდრეი სოროკინი და ანა გოროხოვა, რომელთა სხეულები დაანაწევრეს. ბანდის წევრებს 8-დან 20 წლამდე პატიმრობა მიესაჯათ. მაქსიმალური, 20-წლიანი პატიმრობა მიესაჯა ოგოლობიაკს, რომელიც მკვლელობის მომენტში სრულწლოვანი იყო.

როგორც წესი, ვლადიმირ პუტინი პატიმართა შეწყალების განკარგულებებს ხელს აწერს ფრონტზე გამგზავრების დღეს. უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის ციხეებიდან რეგულარულად ათავისუფლებენ მკვლელებს, მოძალადეებსა და სხვა მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდადებულებს. მოკლულთა და დაზარალებულთა ოჯახის წევრები პროტესტს გამოთქვამენ, თუმცა უშედეგოდ.

რუსი ჟურნალისტების შეფასებით, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა შეიწყალა მინიმუმ 17 ადამიანი, რომლებიც ნასამართლევი იყვნენ მკვლელობისთვის. ყველა მათგანმა მიიღო მონაწილეობა უკრაინის ომში და ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ გათავისუფლდა. ნაწილმა უკვე მოასწრო ახალი დანაშაულის ჩადენა.

ცნობილი რუსი ჟურნალისტის, რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ყოფილი წამყვანის ანტონ ორეხის თქმით, რუსეთში ყველას ეპატია: ნაცისტებს, სადისტებს, სატანისტებს, ახლა კი, როგორც ჩანს, კანიბალების რიგია.

**„დარჩა ვინმე, ვინც არ იმსახურებს პატიებას? რა თქმა უნდა, პოლიტიკური აქტივისტები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ წავლენ ომში. ისინი არ იმსახურებენ პატიებას“,** – ამბობს ანტონ ორეხი.

პატიმართა უფლებების დაცვის ორგანიზაციის „მჯდომარე რუსეთის“ ხელმძღვანელი, ოლგა რომანოვა ამბობს, რომ რუსი პატიმრებისთვის, რომლებიც მძიმე სასჯელს იხდიან, ციხიდან ომში წასვლა ძალიან მიმზიდველი შეთავაზებაა:

**„საკონტრაქტო და მობილიზებული ჯარისკაცებისგან განსხვავებით, პატიმრები ფრონტზე მხოლოდ ექვსი თვე იმყოფებიან. იღებენ ხელფასს, ექვსი თვის შემდეგ კი ნასამართლობა ეხსნებათ. რატომ არის ასე - არ ვიცი. როგორც ჩანს, სოციალურად უფრო ახლობლები არიან. რაც მთავარია, შესაძლებელია მათი მრავალჯერადი გამოყენება: გაათავისუფლებენ, მალე ისევ დაიჭერენ და პირდაპირ წინასწარი დაკავების იზოლატორიდან კვლავ ფრონტზე გაუშვებენ. და ა.შ. უსასრულოდ. რაც მთავარია, ისინი ახლა ცოცხლები ბრუნდებიან. დიდი ხანია ბახმუტის მსგავსი ბრძოლები არ ყოფილა. ჰოდა, მიდიან ომში, რათა ცხოვრება „ახალი ფურცლიდან“ დაიწყონ“.**

რუსეთში არმიის დისკრედიტაცია სისხლის სამართლის დანაშაულია და მკაცრად ისჯება.

**„არის თუ არა რუსეთის არმიის დისკრედიტაცია იმის თქმა, რომ მის რიგებში ოფიციალურად იბრძვიან კანიბალები, სერიული მოძალადეები და მკვლელები?“ – იკითხა ოლეგ ფშენიჩნიმ, ჟურნალ** The Insider Russia**-ს რედაქტორმა.**

რუსეთის არმიის (და მასთან გათანაბრებული ორგანიზაციების) დისკრედიტაცია ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, განმეორებითი დისკრედიტაციის შემთხვევაში სასჯელი 7 წლამდე იზრდება, ხოლო ამ მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა 15 წლამდე პატიმრობაა.

**რუსეთის „შეიარაღებული ძალების დისკრედიტაციად“ მიიჩნევა „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ შესახებ გამოთქმული ნებისმიერი აზრი, რომელიც ეწინააღმდეგება ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციას.**

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

# დასტაქარი, რომელსაც ყველაფერი დაეჯერება!

**საქართველოს საზღვრებს მიღმა მოღვაწე ჩვენს თანამემამულეთა შორის უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია დიდი დასტაქარი, სახელოვანი კარდიოქირურგი, საქვეყნოდ ცნობილი ექიმი, აკადემიკოსი ლეონიდე (ლეო) ბოკერია.**

**ფოთში დაბადებულ-გაზრდილმა და ამჟამად მოსკოვში მოღვაწე კაცმა, სამედიცინო სფეროში უდიდეს წარმატებას მიაღწია – მსოფლიოში ავტორიტეტული სამედიცინო ჟურნალის „მედვესტის“ შეფასებით, იგი 21-ე საუკუნის ყველა ქვეყნის საუკეთესო ექიმთა რიცხვს განეკუთვნება.**

**თავისი მდიდარი საექიმო პრაქტიკის განმავლობაში, აკადემიკოსმა ლეო ბოკერიამ 7 400-ზე მეტი ოპერაცია ჩაატარა გულსა და სისხლძარღვებზე, მის პაციენტთა შორის უხუცესი 87 წლისა იყო, ყველაზე უმცროსი კი – სულ 15 საათის დაბადებული!**

**საერთოდაც, იგი ბევრს მუშაობს ბავშვებთან, ამიტომაც ჩინებულად ხელეწიფება რთულ სამედიცინო საკითხებზე მარტივი, გასაგები ენით საუბარი. იგი 28 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია, რომლებითაც მომავალი ექიმები დღესდღეობით მსოფლიოს წამყვან სამედიცინო უმაღლესებში სწავლობენ.**

**წინამდებარე მისი საუბრის მთავარი პოსტულატი ის გახლავთ, რომ თითოეული ადამიანის ჯანმრთელობა 90 პროცენტით სისხლძარღვთა მდგომარეობაზეა დამოკიდებული.**

– ბევრი პაციენტი არტერიული წნევის ხშირ ნახტომისებრ ცვლილებებს უჩივის, რომელთა მკურნალობაში წლების მანძილზე დიდძალ ფულად სახსრებსაც ხარჯავს და პრობლემასაც რადიკალურად ვერ ჭრის.

სტატისტიკით, საქართველოში ყოველწლიურად სიკვდილიანობის ყოველი მეექვსე შემთხვევა **ინსულტს** ან **ინფარქტს** უკავშირდება და ამ სიცოცხლისთვის სახიფათო დაავადებათა მთავარი მიზეზი ნაირ-ნაირი ნაგვით ამოვსებული სისხლძარღვებია. სწორედ ამის გამოა, რომ პაციენტს აწუხებს ხშირი თავის ტკივილები, უქვეითდება მხედველობა, სტკივდება მუხლები და სხვა. ყოველივე ამის მიზეზი კი ისაა, რომ წლების განმავლობაში ორგანიზმის სისხლძარღვთა სისტემაში ქოლესტერინი, თრომბები, აზების ნარჩენები და კალციუმის ბალთები გროვდება. არავის ეგონოს, რომ ყველაფერიი ეს ასაკის გამოა და საქმის შველა შეუძლებელია! ასე სულაც არ არის, უბრალოდ საჭიროა პრობლემისადმი სწორად მიდგომა და აუცილებელი ზომების მიღება.

იმის გამო, რომ სისლძარღვებში ათასი ნარჩენი გროვდება, დროთა განმავლობაში სისხლს მათში სულ უფრო მეტად უჭირს მოძრაობა, რის გამო მკვებავი ნივთიერებები შიდა ორგანოებსაც ნაკლებად მიეწოდებათ, რაც ხშირად ბევრი ავადმყოფობის მიზეზი ხდება, რომლებიც წლების მანძილზე ყოველგვარი გამოვლინებების გარეშე ვითარდებიან.

**– ბატონო ლეო, თქვენს პაციენტებსაც გამუდმებით ეუბნებით, რომ საღი სისხლძარღვები – ადამიანის ჯანმრთელობის 90 პროცენტია. რატომაა ასე?**

– მიჩნეულია, რომ ადამიანის ყველაზე დიდი ორგანოა კანი, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. სინამდვილეში ყველაზე დიდი ორგანოა სისხლძარღვთა სისტემა. ამდენად, სავსებით ცხადია, რომ მის მუშაობაში შეფერხებებს მთელ ორგანიზმში პრობლემების წარმოშობა მოსდევს.

ჩვენს სხეულში დაახლოებით 150 მილიარდი კაპილარია, რომელთა ასანთის ღეროებით აწყობილი მოდელი 8 „ბოინგის“ წონის ტოლი იქნება! მათი საერთო სიგრძე კი დაახლოებით 100 ათასი კილომეტრია!

ამდენად, სავსებით ცხადია, რომ ასეთი უზარმაზარი სისტემა არ შეიძლება მარტივი იყოს. ამის გათვალისწინებით, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს დასკვნის გამოტანა, რომ მის მუშაობაში უმნიშვნელო შეფერხებაც კი სხვადასხვა პათოლოგიური ცვლილებების მიზეზი ხდება.

**– კერძოდ, რა მდგომარეობებს გულისხმობთ?**

– დაგისახელებთ მათგან მხოლოდ ექვს ყველაზე ხშირსა და სახიფათოს, რომლებიც შესაძლოა სისხლძარღვების გამტარიანობის შემცირებას მოჰყვეს. პრობლემებს რისკის მატებისდა მიხედვით დავალაგებ.

- **ვენების ვარიკოზული გაფართოება** – ესაა ფეხებზე ვენების დახშობის შედეგი. მას ახლავს ძლიერი ტკივილები, კრუნჩხვები, შეუხორცებელი იარები, ხანმოკლე სიარულის შემდეგ ფეხების დაღლა, სოკოს გაჩენა ხელების თითებზე და ნაპრალები ქუსლებზე. ამ დროს არა მხოლოდ ტუალეტში სიარული, არამედ უბრალოდ ჯდომაც კი მტკივნეულია. იმის გამო, რომ დუნდება სწორნაწლავის კუნთები, ვითარდება ბუასილი.
- **სახსრების ტკივილი** – ესაა ხრტილოვან ქსოვილებში მიკროელემენტების ნაკლებობის შედეგი. მუხლების, ხელის თითებისა და თეძოების სახსრების ტკივილის მიზეზიც გაძნელებული სისხლის მიმოქცევაა.
- **ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემებიც** წარმოიშვება მასში მკვებავი ნივთიერებების ნაკლებობით, რომლებითაც მას სისხლი ამარაგებს. სწორედ ამ მიზეზით იწყება **ჰეპატოზი,** რომლის ხშირი სიმპტომებია მწარე გემო პირში და ბოყინი.
- **მხედველობის გაუარესებისა და თავბრუსხვევის** მიზეზი შესაძლოა თავის სისხლძარღვების დასუსტება იყოს, რასაც არა მარტო კატარაქტის განვითარება, არამედ ტვინში ჟანგბადის უკმარისობა მოჰყვეს, რაც ხშირად თავის მხრივ მეხსიერებისა და ინტელექტუალურ შესაძლებლობათა დონის დაწევას იწვევს.
- **ჰიპერტონია** კი ის დაავადებაა, რომელიც ინსულტებისა და ინფარქტების, ასევე გულის შეტევების მიზეზი ხდება.

იქნებ იფიქროთ, რომ ასეთი მდგომარეობა მხოლოდ ხანდაზმულ ადამიანებს უვითარდებათ, მაგრამ ასაკი აქ არაფერ შუაშია! გახსოვდეთ, რომ თქვენი ორგანიზმის ნორმალურად ფუნქციონირების მთავარი ხელის შემშლელი წინაპირობაა ქოლესტერინითა და კალციუმით გაბინძული სისხლძარღვები! თანაც ეს დაავადებები დღითიდღე უფრო მეტად შეგაწუხებთ რაგინდ კარგ მედიკამენტურ თერაპიასაც არ უნდა მიმართოთ! მართალია, ამ სნეულებათა გარკვეული დროით „ჩახშობა“ შეიძლება გარკვეული მედიკამენტებით, მაგრამ ამით მათი გამომწვევი მიზეზი ძველებურად დარჩება და თავისით არც გაქრება. თანაც, რაც უფრო მეტად გაიბინძება სისხლძარღვები, მით უფრო მძიმე იქნება შედეგი. თავის ტვინის საშუალო და მძიმე ხარისხით გაჭედვის ყველაზე ხშირი შედეგია ინსულტი და სრული ან ნაწილობრივი დამბლა.

**გინდათ დიდხანს იცხოვროთ? – ამისთვის სისხლძარღვების გაწმენდას რაც შეიძლება დროულად შეუდექით!**



## ლეო ბოკერია:

# ყველა დაავადებას ცალ-ცალკე ნუ უმკურნალებთ!

**– რატომაა, რომ ყველაფერი მაინცდამაინც სისხლძარღვებზეა დამოკიდებული?**

– სისხლძარღვები – ესაა ორგანიზმში ყველა მკვებავი ნივთიერებისთვის სატრანსპორტო სისტემა და სწორედ ამიტომაა, რომ მათი დასუსტების შედეგად ზარალობს მთელი სხეული, მისი ყველა ორგანო.

სისხლძარღვების „დანაგვიანების“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მათში ქოლესტერინის დაგროვება, რომელიც ხელს უშლის სისხლის თავისუფლად მოძრაობასა და, შესაბამისად, შინაგანი ორგანოებისთვის საკვები ნივთიერებების საჭირო ოდენობით მიწოდებას. ამის შედეგად კი თავის ტვინი ამ მდგომარეობას... შიმშილად აღიქვამს და იმწამსვე გასცემს ჭამის „ბრძანებას“! სინამდვილეში კი კაცი საჭიროზე მეტ საკვებს იღებს, რომელიც ქონად და ნაკეცებად იქცევა. ამიტომაც წონის დასაგდებად საჭიროა სისხლძარღვთა გაწმენდა, რასაც ქრონიკულ და „უკურნებელ“ სნეულებათა გაქრობაც მოჰყვება.

**ამისათვის კი აუცილებელია კვალიფიციურ სპეციალისტებს მიმართოთ და მათი რეკომენდაციებიც გაითვალისწინოთ!**

**– რა არის სისხლძარღვებისთვის ყველაზე სახიფათო?**

– ზოგჯერ მათში იმდენი „ნაგავია“ დალექილი, რომ ოდნავი ნასვრეტიც კი აღარ რჩება! ამასთან ერთად დიდ საფრთხეს აგრეთვე წარმოადგენენ თრომბები და დალექილი კალციუმი.

ქოლესტერინი სისხლძარღვების გამბინძავი მთავარი ნივთიერებაა. ესაა ცხიმის მსგავსი სუბსტანცია, რომელიც სისხლძარღვებში ორი გზით ხვდება: დაახლოებით ერთ მეოთხედს ჩვენ ვიღებთ საკვებთან ერთად, დანარჩენ სამ მეოთხედს კი გამოიმუშავებს ჩვენი ორგანიზმი.

მაგრამ, სისხლისთვის რეალურ საფრთხეს თრომბები – სისხლის უჯრედების რბილი წარმონაქმნების გროვები წარმოადგენენ. ისინი ან ერთ გარკვეულ ადგილას გროვდებიან, ანდა შეიძლება ვენის მთელ სიგრძეზე იყვნენ განაწილებულნი. ესენია მკვრივი მასები, რომელთა საერთო წონა ორგანიზმში შეიძლება კილოგრამსაც კი აღწევდეს. მაგრამ, მთავარი საფრთხე არა თრომბების ოდენობაში, არამედ არასტაბილობაშია – მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ადგილიდან მოწყვეტა და საშინელი შედეგის, ხშირად, სიკვდილიანობის გამოწვევაც კი! თუკი თრომბი თავის ტვინის სისხლძარღვს გაჭედავს, მაშინ განვითარდება ინსულტი, თუკი გულის არტერიას – ინფარქტი. სისხლმომარაგების გარეშე შეიძლება დარჩეს ნებისმიერი სხვა ორგანოც, რასაც უაღრესად ცუდი შედეგი მოჰყვება.

ყველას შევახსენებთ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თქვენ ცხოვრების ჯანსაღ წესს მისდევთ, 40 წლის ასაკისთვის სისხლძარღვებში მაინც მოგიგროვდებათ „ნაგავი“. ამიტომ,

**თუკი სისხლძარღვები არასდროს გაგიწმენდიათ, ამ ამბავს დიდი ხნით ნუ გადადებთ, თუნდაც ამჟამად თავს კარგად გრძნობდეთ, რაც სულაც არ არის იმის გარანტია, რომ თქვენი ორგანიზმი სრულ წესრიგშია! გახსოვდეთ, რომ ბევრი სახიფათო დაავადება წლების განმავლობაში ყოველგვარი სიმპტომების გარეშე მიმდინარეობს!**

სისხლძარღვთა გაწმენდის აუცილებლობის ოთხი მიზეზის დასახელება შეიძლება:

- **ჰიპერტონია** – ესაა არასტაბილური ან მუდმივად მაღალი არტერიული წნევა, რომელსაც თქვენ წამლებით აგდებთ.
- **ვენების ვარიკოზული გაფართოება** – ესაა ფეხებზე ვენების არაესთეტიური გაბერილობა, მათი შეშუპება და ტკივილი. სისხლძარღვებში „ნაგვის“ დაგროვების შედეგად ჩნდება „ვარსკვლავები“, რომლებიც დროთა განმავლობაში სისხლძარღვების „ბადედ“ გადაიქცევიან, ან, შემდგომ კი ის სრულფასოვან ვენების ვარიკოზულ გაფართოებაში გადადის.
- **ბუასილი** – როცა სწორი ნაწლავის სისხლძარღვები იჭედებიან „ნაგვით“, ბუასილური კვანძები იბერება, უკანა ტანში ჩნდება ბზარები.
- **ოსტეოქონდროზი** – ესაა სახსრებში სისხლის მიმოქცევის შესუსტება, რის გამოც მათი ხრტილების დეჰიდრატაცია (გაუწყლიანობა) და ცვეთა ისე ხდება, რომ ისინი აღდგენას ვერ ასწრებენ და მარგებელი ნივთიერებების შთანთქმის უნარს კარგავენ. ამიტომაც, სახსრებიდან მარილების გამორეცხვა არ ხდება, ისინი იქვე ილექებიან და უდიდეს დისკომფორტს წარმოშობენ.

* * *

**– ბატონო აკადემიკოსო, როგორ უნდა შევიტყოთ, რომ ჯანმრთელობა აუცილებლად მისახედია, რა არის ამის სიმპტომები?**

– შეიძლება დაგისახელოთ რამდენიმე მიზეზი, რომელთაც აუცილებლად უნდა მიაქციოთ ყურადღება და რომლებიც მოწმობენ, რომ თქვენი სახსრები უკვე კრიტიკულ მგომარეობაშია.

- **ხელების, ფეხების ან სახის შეშუპება** – იმის გამო ხდება, რომ გაბინძული სახსრები უკვე ვეღარ ასწრებენ ჭარბი სითხის მოცილებას, საღამოსთვის ფეხები უკვე იმდენად სივდება, რომ წვივებზე წინდების ანაბეჭდები რჩება. საგანგაშოა ასევე სახისა და თვალების შეშუპება, დასიებული თითები, რომლებიდან ბეჭდების მოხსნა ჭირს.
- **თავბრუსხვევა** – ესაა ვესტიბულარული აპარატის პრობლემა, რომელიც შიდა ყურშია განთავსებული და რომელიც სხეულის მოძრაობაზე, კოორდინაციის შენარჩუნებაზეა პასუხისმგებელი. მისი ცუდი მუშაობა ხშირად მხედველობასა და სმენას აზიანებს.
- **ხმაური ან შიშინი ყურებში** – იმის ნიშანია, რომ გესმით სისხლძარღვებში სისხლის მოძრაობის ხმა. ეს შეიძლება იყოს გაბმული გუგუნი, ვიბრირებადი ან მონოტონური ხმაური. ეს ბგერები ხელს უშლიან ყურადღების კონცენტრირებას.
- **უძილობა.** თავის ტვინმა უნდა გამოიმუშაოს ძილის ჰორმონი – მელატონინი, რომელსაც კიდევ „ახალგაზრდობის ჰორმონსაც“ უწოდებენ. თუკი სისხლძარღვები შეფერხებით მუშაობენ, თქვენ სხეულის ძლიერ მოდუნებას იგრძნობთ, ცოტა ხანში შეიძლება სერიოზული პრობლემები გაჩნდეს – ქალებში ესენია ნაადრევი მენოპაუზა, გასუქება ანდა, სულაც, კიბო.
- **ადვილად დაღლა და დილიდანვე ძალთა გამოლევა.** როცა სისხლძარღვები სათანადოდ არ მუშაობენ, ორგანიზმი ცდილობს ენერგიის ეკონომიურად ხარჯვას, რათა ის საკმარისი იყოს შინაგან ორგანოთა მკვებავი ნივთიერებებით მოსამარაგებლად. ასეთ მდგომარეობაში არანაირ ფიზიკურ თუ გონებრივ აქტივობაზე ოცნებაც კი არ არის!
- **„ვარსკვლავები“ თვალებში და მხედველობის გაუარესება.** სიჭრელე, ბურუსი, – ყელა ეს ანომალია იმის ნიშანია, რომ სნეული სისხლძარღვების გამო თვალებს მკვებავი ნივთიერებები საკმაო ოდენობით არ მიეწოდება.
- **მტკივანი სახსრების გამო დილაობით შებოჭილობის შეგრძნება.** უტყუარად გრძნობთ ამინდის ცვლილებას, მოძრაობისას სახსრები ტკაცუნობენ, მუხლები გტკივათ. ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ სახსრებს არ ჰყოფნით ბუნებრივი „შეზეთვა“ **სინოვიალური სითხე,** რომელიც ჯანსაღი სისხლის მიმოქცევის გარეშე არ წარმოიშვება.

**ერთგვარი დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ ამ სიმპტომებიდან ნებისმიერი შეიძლება ნებისმიერ დროს გაძლიერდეს და მაშინ სისხლძარღვთა ელემენტარული გაწმენდის მაგივრად, შეიძლება ძვირადღირებული ოპერაციის გაკეთება დაგჭირდეთ. ამიტომაც, აუცილებლად ვიტყვი, რომ დიდი შეცდომაა თითოეული სნეულების ცალ-ცალკე მკურნალობა. წარმოიდგინეთ კიდევ ერთხელ, თუ რა ღირს არტერიული წნევის აბები, ვარიკოზის საცხები, ბუასილის სანთლები, სახსრების გელები, ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები...**

**არადა ორგანიზმის მოვლა როგორ შეიძლება, უკვე საკმარისად ვილაპარაკე!**

**კიდევ ერთხელ დაგიზუსტებთ: ყველგან და ყველაფერში დაიცავით ზომიერება, არ ინერვიულოთ ცხოვრების წვრილმანებზე და იყავით ფიზიკურად აქტიურები! აი, თქვენი ჯანმრთელობის ანაბანა!..**

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

## მოვლენის წინ

# ევროპულ ოჯახში – ოვალური ბურთით

**10 დღე დარჩა ქართული რაგბისთვის ისტორიული დღის დადგომამდე. ზაფხულში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, პირველი ქართული პროფესიული ფრენჩაიზი „შავი ლომი“, ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბის (EPCR) მიერ ორგანიზებულ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს უძლიერეს საკლუბო ტურნირში ჩაერთვება.**

სასიხარულოა, რომ ქართული რაგბი ყველა მიმართულებით ვითარდება და სარაგბო ელიტისკენ წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს. ჩელენჯ თასსა და ჩემპიონთა თასზე ქართველი მსაჯების გამოჩენის, ასევე „შავი ლომისთვის“ ჩელენჯ თასის კარის გაღების შემდეგ ქართული რაგბი EPCR-ის სადისციპლინო პანელს შეუერთდა.

**მირიან თავზარაშვილი** რაგბი ევროპის პანელზე 2021 წელს გამოჩნდა და ორი წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული რაგბი ევროპის სადისციპლინო კომისიის მუშაობაში. შედეგად, მან მიწვევა უფრო მაღალი დონის ჩემპიონატებზე მიიღო და მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტების მხარდამხარ ჩელენჯ თასისა და ჩემპიონთა თასის შეხვედრებს მოემსახურება.

სადისციპლინო კომისიის მოვალეობაა, რომ ინციდენტის შემთხვევაში (მაგალითად: მსაჯის მიერ რომელიმე მოთამაშის წითელი ბარათით გაძევება, ან საითინგ-კომისრის მიერ დაფიქსირებული წესების დარღვევა, რომელიც მსაჯებს გამორჩათ) განიხილოს მომხდარი და შესაბამისი სადისციპლინო სასჯელი გამოუტანოს დამნაშავეს.

**„ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ტოპ დონის საკლუბო ჩემპიონატებში არა მხოლოდ გუნდით, არამედ ოფიციოზითაც ჩართვა იმის ნიშანია, რომ ქართული რაგბი განვითარების სხვა ეტაპზე გადავიდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ინგლისის რაგბის კავშირის სადისციპლინო სამსახურის უფროსს, ბატონ დევიდ ბარნსს. მან ჩაგვიტარა შესაბამისი სემინარები და რეკომენდაცია გაგვიწია EPCR-თან.**

**18 ნოემბერს ინგლისში, ბირმინგემში EPCR-ის სადისციპლინო კომისიის კონფერენცია გაიმართა, რომელიც ყველა სეზონის წინ იმართება. განვიხილეთ უკვე მომხდარი დარღვევები და მომავალი სეზონის გეგმები. დიდი ყურადღება დაეთმო სოციალური ქსელების მეშვეობით მსაჯებსა და მატჩის ოფიციალურ პირებზე მუქარის ტენდენციას. ვისაუბრეთ რეაგირების საშუალებებზე, ასევე განვიხილეთ დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები. კონფერენციას მსაჯებიც ესწრებოდნენ და მათგან საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ. EPCR-ში გაწევრიანება პროფესიულ რაგბიში სრულფასოვან ჩართვას ნიშნავს, რაც განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს და ეს ქართულ რაგბის კიდევ უფრო წინ წაიყვანს“** – აღნიშნავს მირიან თავზარაშვილი.

შეგახსენებთ, „შავი ლომი“ ჩელენჯ თასზე სადებიუტო შეხვედრას 9 დეკემბერს 17 საათზე „მიხეილ მესხზე“ ინგლისური გრანდის, „გლოსთერის“ წინააღმდეგ გამართავს.

## ტალანტი



# რეალთანაც გაიბრწყინა!

**15 წლის მათე ხატიაშვილმა, რომელიც ესპანური ბასკონიას 15-წლამდელთა გუნდში გამოდის, მადრიდის რეალს 22 ქულა ჩაუგდო. ეს მოხდა იტალიის ქალაქ ტრიესტში, გამართული ამხანაგური საერთაშორისო ტურნირის ფინალში, რომელიც მათე ბიჭის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში 72:80 წააგო.**

სანამ იტალიურ ტურნირზე დეტალებს გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ 14 წლის ასაკში მათე ხატიაშვილი საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ გასული ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში, სადაც საქართველომ ელიტარული, A დივიზიონის საგზური მოიპოვა. გადამწყვეტ, მესამე ადგილისთვის მატჩში მათემ მასპინძელ რუმინეთის ნაკრებს 23 ქულა ჩაუგდო, საქართველომ კი დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა და მომავალ წელს A დივიზიონში იასპარეზებს.

ტრიესტში ახლახან დასრულებული ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ხატიაშვილმა იტალიურ ბასანოსთან (70:66) 28წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა, ტრიესტთან (65:50) 29 წუთში 9 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება ჰქონდა, სლოვენიურ ცედევიტასთან (77:68) კი 37 წუთში 20 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

ფინალურ მატჩში ფავორიტად შერაცხულ მადრიდის რეალთან მათემ 32 წუთში 22 ქულა, 5 მოხსნა 5 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა გამთამაშებელმა 13-დან 6 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო, თუმცა უარყოფითზეც უნდა ვთქვათ – ბურთი 9-ჯერ დაკარგა.

ბასკონიაში ითამაშა კიდევ ერთმა ქართველმა – **ნიკა თანანაშვილმა** ბასანოსთან 2 ქულა ჩააგდო, ტრიესტთან – 4, ცედევიტასთან უქულოდ დარჩა, ხოლო რეალთან 2 ქულა მოაგროვა.

მათე ხატიაშვილი გამთამაშებლის პოზიციაზე საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება და ის კიდევ ერთ ტალანტთან, ტანმაღალ ათუკა ბახტაძესთან ერთად გასულ ზაფხულს საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც იყო გამოძახებული. 14 და 15 წლის ბიჭებმა რამდენიმე ვარჯიში ჩაატარეს ეროვნული გუნდის წევრებთან ერთად და მწვრთნელთა შტაბის მოწონებაც დაიმსახურეს.

ხატიაშვილს კვლავ უწევს 16-წლამდელთა ნაკრებში თამაში და მომავალ ზაფხულს თანატოლებს A დივიზიონში დაეხმარება, ხოლო ბახტაძეს, რომელიც კაუნასის ჟალგირისის წევრია, უკვე 18-წლამდელთა ნაკრები უხმობს.

# საფეხბურთო მოზაიკა

**„უოტფორდის“ ქართველი ფეხბურთელი გიორგი ჩაკვეტაძე ტრავმირებულია. ის „ნორვიჩის“ წინააღმდეგ სამატჩო განაცხადში ვერ მოხვდა.**

როგორც ინგლისური კლუბის ვებგვერდი იტყობინება, ამის მიზეზი საზარდულის კუნთის დაჭიმვაა, თუმცა, ამ ეტაპზე არ ვრცელდება ინფორმაცია დაზიანების ხარისხის შესახებ. სავარაუდოდ, სერიოზული არაფერია და გიორგი მხოლოდ „ნორვიჩთან“ მატჩს გამოტოვებს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში გიორგი ჩაკვეტაძემ „უოტფორდის“ მაისურით ჩემპიონშიფში 14 მატჩი ჩაატარა.

* * *

**„შახტარის“ მცველმა ვალერი ბონდარმა ჩემპიონთა ლიგაში „ანტვერპენთან“ მატჩის შემდეგ ჩხუბზე უკრაინულ მედიასთან ისაუბრა.** როგორც მან თქვა, ბელგიური გუნდის ფეხბურთელი **ირაკლი აზაროვს** უყვიროდა, რასაც ჩხუბის დაწყება მოჰყვა.

**„მათი 11 ნომერი აზაროვს მიუახლოვდა და დაიწყო მისთვის ძალიან ცუდი სიტყვების ინგლისურად ყვირილი. მესმის მათი – გავარდნენ, ქულაც ვერ მოიპოვეს და როგორმე ჩვენი პროვოცირება, განწყობის გაფუჭება სურდათ. თუმცა, წინ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს და ემოციების გაკონტროლება მოგვიწია“,** – თქვა ბონდარმა.

„ანტვერპენის“ მე-11 ნომერი არნბორ მუია იყო. ფეხბურთელები ცოტა ხანში დამშვიდდნენ და გასახდელში შევიდნენ. შეგახსენებთ, რომ „შახტარს“ ჯგუფიდან გასასვლელად ბოლო ტურში სტუმრად „პორტუსთან“ გამარჯვება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასპარეზობას ევროპა ლიგაზე გააგრძელებს.

* * *



**პოპულარულმა სპორტულმა გამოცემამ FourFourTwo-მ 21-ე საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად „ინტერ მაიამისა“ და არგენტინის ეროვნული ნაკრების ლიდერი ლიონელ მესი დაასახელა.**

მეორე ადგილზე „ალ-ნასრის“ პორტუგალიელი თავდამსხმელი კრიშტიანო რონალდუ გავიდა, ხოლო მესამე ადგილი ანდრეს ინიესტამ დაიკავა, რომელიც ამჟამად საფეხბურთო კლუბ „ემირეითსში“ თამაშობს.

**სულ სიაში 100 ფეხბურთელი მოხვდა, საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება:**

1 . ლიონელ მესი (არგენტინა),
2. კრიშტიანო რონალდუ (პორტუგალია),
3. ანდრეს ინიესტა (ესპანეთი),
4. ჩავი ერნანდესი (ესპანეთი),
5. რონალდინიო (ბრაზილია),
6. ტიერი ანრი (საფრანგეთი),
7. მანუელ ნოიერი (გერმანია),
8. კაკა (ბრაზილია),
9. ლუის სუარესი (ურუგვაი),
10. კარიმ ბენზემა (საფრანგეთი).

შეგახსენებთ, რომ ოქტომბრის თვეში ლიონელ მესიმ თავის კარიერაში მერვე „ოქროს ბურთი“ მოიგო.

* * *

**„მილანის“ მთავარმა მწვრთნელმა სტეფანო პიოლიმ ჩემპიონთა ლიგაში „დორტმუნდთან“ მარცხის (1:3) შემდეგ ისაუბრა. როგორც მან თქვა, გულშემატკივრები გაბრაზებული სამართლიანად არიან და ახლა მისი გუნდი ვალდებულია ნიუკასლში მოიგოს.**

**„მატჩი მაშინ წავაგეთ, როცა ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ მიდიოდა, გაცუდებულ პენალტს ვგულისხმობ, თუმცა, მეტოქის მეორე გოლამდე თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. ჩაოს ტრავმამ დაცვაში ბალანსი შეცვალა და მეტოქემ უკეთ ითამაშა, განსაკუთრებით ღია სივრცეებში. იმედგამაცრუებელი საღამო იყო – შესანიშნავი შანსი გვქონდა. ახლა ვალდებული ვართ ნიუკასლში წავიდეთ და მოვიგოთ. კიდევ ერთი ტრავმა? რა თქმა უნდა, ეს შემაშფოთებელია. ამ წაგების მერე რთულია სიტყვების პოვნა. გულშემატკივრებს უფლება აქვთ გაბრაზებული და იმედგაცრუებული იყვნენ, ჩვენ უკეთესად უნდა ვითამაშოთ“,** – თქვა **პიოლიმ.**

„მილანი“ ჯგუფიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში გავა, თუ ბოლო ტურში სტუმრად „ნიუკასლს“ დაამარცხებს, ხოლო „დორტმუნდი“ პსჟ-ს მოუგებს.

## ოქტაგონზე

# ტრავმის შემდეგ

**UFC-ის ქვემსუბუქი წონის მოქმედმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა ალექსანდრ ვოლკანოვსკიმ ილია თოფურიასთან საჩემპიონო ბრძოლისთვის მზადება დაიწყო.**

როგორც „იუთუბის“ საკუთარ არხზე დადებულ ვიდეოში ვოლკანოვსკი აცხადებს, თავს კარგად გრძნობს, ტვინის შერყევასთან დაკავშირებული პროტოკოლი გაიარა და საწვრთნელ პროცესში აქტიურად ჩაერთო.




ოქტომბერში 35 წლის ვოლკანოვსკიმ UFC-ის მსუბუქი წონის საჩემპიონო ქამრის მოგებაც სცადა, თუმცა თავში მიღებული დარტყმის შემდეგ ისლამ მახაჩევთან პირველივე რაუნდში წააგო. სწორედ აღნიშნული შემთხვევის შემდეგ მას განსაკუთრებული ტესტების ჩაბარება უწევს, რათა მომდევნო ბრძოლისას ჯანმრთელობას საფრთხე არ შეუქმნას.

**„პირველი სპარინგი ჩავატარე. ვიმოქმედე ტვინის შერყევასთან დაკავშირებული სპეციალური პროტოკოლის შესაბამისად. ყველა ტესტი წარმატებით გავიარე, სიმპტომები არ მაქვს.**

**მადლობა ჩემს გუნდსა და ექიმებს თანადგომისთვის. მზად ვარ, სრული დატვირთვით ჩავერთო ბრძოლისთვის მოსამზადებელ პროცესში, წინ უამრავი დრო გვაქვს“,** – განაცხადა ვოლკანოვსკიმ.

ქართველი მებრძოლი ავსტრალიელთან ბრძოლას MMA-ში წაუგებელი ხვდება. 26 წლის ილია თოფურიამ აქამდე 14-ჯერ იჩხუბა და ყველა დაპირისპირება მოიგო. რაც შეეხება ვოლკანოვსკის, მას ქვემსუბუქ წონაში 13 დან 13 გამარჯვება აქვს, ხოლო საჩემპიონო ქამრის დაცვა ხუთჯერ მოახერხა.

UFC-ის ისტორიაში ქართველი მებრძოლის პირველ საჩემპიონო ჩხუბს აშშ-ს ქალაქი ანაჰაიმი 2024 წლის 18 თებერვალს უმასპინძლებს.

## ხუთი რგოლი

# ერთხმად!

**გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა „სპორტის და ოლიმპიური იდეალების მეშვეობით მშვიდობიანი თანაარსებობის ხელშემწყობ რეზოლუციას,“ რომელიც ცხრა პუნქტისგან შედგება. მათ შორის უმთავრესია ოლიმპიურ თამაშებამდე შვიდი დღით ადრე და პარალიმპიური თამაშების დასრულებიდან შვიდი დღის შემდეგ ოლიმპიური ზავის დაცვისკენ მოწოდება.**

აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის მხარდაჭერისგან თავი შეიკავეს რუსეთმა და სირიამ, ასამბლეის წევრთა უმრავლესობამ კი მის მიღებას მხარი დაუჭირა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტის თომას ბახის განცხადებით, 2024 წლის ოლიმპიური თამაშების პერიოდში ოლიმპიურ ზავზე მიღებული რეზოლუცია მნიშვნელოვანი სამშვიდობო დოკუმენტია. მას კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ და ათლეტების შესაძლო დისკრიმინაციაზე ალაპარაკდნენ.

**„მოხარული და მადლობელი ვარ, რომ ოლიმპიური ზავის რეზოლუციას ასეთი მხარდაჭერა ჰქონდა – მხოლოდ ორმა ქვეყანამ შეიკავა თავი. ამასთან დაკავშირებით განმარტებები მოვისმინეთ. ეს დოკუმენტი არავითარ შემთხვევაში არ არის სპორტსმენთა დისკრიმინაცია, არამედ ოლიმპიური ქარტიის წესების დაცვაა,** – განაცხადა IOC-ის პრეზიდენტმა, – **მსოფლიოს გაერთიანება შეგვიძლია მხოლოდ მშვიდობიან პაექრობაში, თუკი ერთმანეთს არ დაგვაშორებენ პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული ან სხვა განსხვავებული ინტერესები. ამიტომაც, რეზოლუციის მიღებისთვის მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო.**

**თითოეულ სპორტსმენს, რომელმაც სათამაშო მოედანზე გაიარა კვალიფიკაცია და დაიცვა ოლიმპიური ქარტიის წესები, საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.“**

გილოცავთ!

# ზურაბ შოთას ძე ხონელიძე იუბილარია!

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სხვადასხვა ქვეყნების საერთაშორისო დარგობრივი სამეცნიერო აკადემიების საპატიო წევრს ზურაბ შოთას ძე ხონელიძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა, ამ დიდებულ ერისკაცს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.



ამ ტიტულების გარდა, ჩემი საყვარელი მეგობარი არის ყველასგან გამორჩეული მოსიყვარულე და გვერდში მდგომი პიროვნება. ზურაბთან მაკავშირებს 30-წლიანი მეგობრობა.

სიყვარულით და პატივისცემით ვულოცავ იუბილეს თავის ბრწყინვალე ოჯახთან ერთად და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს.

პატივისცემით
და სიყვარულით

**თენგიზ ქავთარაძე**

## საპროტესტო გამოსვლები უკრაინელი გადამზიდების წინააღმდეგ

**სლოვაკეთში სატვირთო მანქანების მძღოლები აანონსებენ, რომ დღეიდან უკრაინასთან ქვეყნის მთავარ სასაზღვრო გასასვლელს გადაკეტავენ, თუ არ გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები უკრაინელ გადამზიდავებთან კონკურენციის შესაზღუდად. მედიის ცნობით,** – ამის შესახებ ინფორმაციას ქვეყნის სატვირთო მანქანების ასოციაციის ხელმძღვანელი სტანისლავ სკალა ავრცელებს.



სტანისლავ სკალამ აღნიშნა, რომ მისი ჯგუფი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაელოდება ტრანსპორტის სამინისტროს რეაქციას. სლოვაკეთის სატვირთო მანქანების ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, 4 დეკემბერს ბრიუსელში ევროპელი ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრა გაიმართება, მაგრამ მას რაიმეს შეცვლის იმედი არ აქვს. შეგახსენებთ, რომ სატვირთო მანქანების პოლონელმა მძღოლებმა ამავე მიზეზით პროტესტი 6 ნოემბერს დაიწყეს. ისინი ითხოვენ ევროკავშირის ქვეყნებში უკრაინული სატვირთო მანქანების შესვლის ლიცენზიის ხელახლა შემოღებას, ჰუმანიტარული დახმარებისა და სამხედრო მომარაგების გარდა. აღნიშნული ლიცენზია გასულ წელს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ გაუქმდა.

## ამერიკაში განათლებამიღებულები და „ჯაშუშური ქსელი“

**აშშ-ის საელჩომ ამერიკული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებთან შეხვედრა მას შემდეგ გადადო, რაც სამთავრობო მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საელჩო აწყობდა შეხვედრას თავის „ჯაშუშურ ქსელთან“, იმ ადამიანებთან, რომლებიც „ამერიკელ აგენტებად აიყვანეს შეერთებულ შტატებში სწავლის დროს,“** – ამის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანული მედია ავრცელებს.

ბრალდებებზე კომენტარის გაკეთება ბაქოში აშშ-ის საელჩოს სთხოვეს.

**„საელჩო მოუთმენლად ელოდებოდა საგანმანათლებლო და კულტურული გაცვლითი პროგრამის იუბილეს აღნიშვნას, ასევე, ხაზს უსვამდა აშშ-ში განათლებამიღებული აზერბაიჯანელი კურსდამთავრებულების მიღწევებს და მათ წვლილს მშობლიური საზოგადოებისთვის“,** – მოჰყავს გამოცემას საელჩოს საპასუხო განცხადება.

ამასთან, აზერბაიჯანული მედიის ცნობით, განცხადების თანახმად, საელჩო იმედოვნებს, რომ ღონისძიების ახალი თარიღი მალე გახდება ცნობილი.

## ევროკავშირში იკრძალება რელიგიური სიმბოლოების სამსახურში გამოყენება

ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საჯარო დაწესებულებებში თანამშრომლების მიერ ნებისმიერი ისეთი სიმბოლოს ტარება, რომელიც გამოავლენს ადამიანის ფილოსოფიურ შეხედულებებს ან რელიგიურ მრწამსს, შესაძლოა, კანონით აიკრძალოს, რათა შეიქმნას „ნეიტრალური გარემო“.

**„ასეთი წესის შემოღება არ არის დისკრიმინაციული, თუ ის საჯარო დაწესებულებების ყველა თანამშრომელზე თანაბრად ვრცელდება და შემოიფარგლება იმით, რაც აუცილებლობას წარმოადგენს“,** – ნათქვამია ევროკავშირის სასამართლოს პრესრელიზში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ ბელგიელი ქალის სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ, საჯარო სამსახურში ისლამური თავსაბურავის ტარების აკრძალვით, მისი მრწამსის თავისუფლება დაირღვა და მის მიმართ დისკრიმინაცია განხორციელდა.

## საფრანგეთი თამბაქოსგან თავისუფალ თაობაზე ზრუნავს




**საფრანგეთში ტყეებში, პლაჟებსა და საზოგადოებრივ პარკებში მოწევა აიკრძალება,** – ამის შესახებ ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრმა, ორელიენ რუსომ განაცხადა.

მისი თქმით, ეს არის მთავრობის გეგმის ნაწილი, რომელიც მთავრობამ შეიმუშავა ყოველწლიურად თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული 75 000 გარდაცვალების შემთხვევის აღსაკვეთად. მინისტრის განცხადებით, „გეგმის მიზანია, 2032 წლისთვის თამბაქოსგან თავისუფალი თაობა შეიქმნას“.

როდის უნდა ამოქმედდეს აკრძალვა, ორელიენ რუსოს არ დაუკონკრეტებია, მაგრამ აღნიშნა, რომ მომდევნო წლიდან ადამიანები შესაძლოა ამ კანონის დარღვევისთვის დაჯარიმდნენ.

ორელიენ რუსომ ასევე აღნიშნა, რომ სიგარეტის ღირებულება თანდათანობით გაიზრდება და 2025 წლისთვის ერთი კოლოფი 12 ევრო, 2027 წლისთვის კი – 13 ევრო ეღირება.

## სარფში აღურიცხავი ოქროს ნაკეთობები შემოჰქონდათ!..

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, მებაჟე ოფიცრების მიერ, უცხო ქვეყნის მოქალაქის როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ძვირფასი ქვებით შემკობილი ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა – 71 გრამი) გამოვლინდა.**

მათივე ინფორმაციით, არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 146 000 ლარი შეადგინა. საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.



## სტიქიას უკრაინაში მსხვერპლი მოჰყვა

**უკრაინაში სტიქიის შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა, კიდევ 23 დაშავდა. დაშავებულთა შორის ორი ბავშვია. მონაცემებს უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი იგორ კლიმენკო ავრცელებს.**

მსხვერპლია ოდესის, ხაროვის, ნიკოლაევის ოლქებში და კიევში. რთული მდგომარეობაა ოდესაში, სადაც ძლიერი ყინვისა და ქარბუქის გამო ხუთი ადამიანი დაიღუპა, სამაშველო სამსახურების დახმარება 2 500-მდე ადამიანს დასჭირდა. გზების ნაწილზე შეზღუდულია ტრანსპორტის მოძრაობა. სტიქიის გამო 11 ოლქში ელექტროენერგია 411 დასახლებულ პუნქტს არ მიეწოდება.

## ჩამონგრეული გვირაბიდან ყველა მუშა გამოიყვანეს

**ინდოეთში 17-დღიანი სამაშველო ოპერაციის შემდეგ ჩამონგრეულ გვირაბში ჩარჩენილი ყველა მუშა თავისუფალია. გვირაბის ჩამონგრევის შედეგად ბლოკირებული 41 მუშა 90-სანტიმეტრიანი დიამეტრის მილის საშუალებით გამოიყვანეს, რომელიც ჩამოშლილ გვირაბში გაიყვანეს.**



მუშების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გვირაბში ყოფნის დროს მათ ჟანგბადს, სასმელსა და საკვებს წვრილი მილის საშუალებით აწვდიდნენ. ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე უტარაკჰანდის შტატში 4,5-კილომეტრის სიგრძის მშენებარე გვირაბი 12 ნოემბერს ჩამოიშალა. გვირაბში 60 ადამიანი იმყოფებოდა. გვირაბის გასასვლელთან მყოფმა მუშებმა თავის დაღწევა შეძლეს, გვირაბის სიღრმეში მყოფი პირები კი შიგნით ჩარჩნენ.

**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრს, გაზეთ „ვრასტანის“ მთავარ რედაქტორს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ჟურნალისტ ვან ბაიბურთს შვილის,**

# იგორ ბაიბურთის

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ასავალ-დასავალის“ რედაქციები გულისტკივილით ვუსამძიმრებთ და ამ დიდი ტრაგედიის დროს გვერდით ვუდგავართ უახლოეს მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრს, გაზეთ „ვრასტანის“ მთავარ რედაქტორს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, პოლიტიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს ვან ბაიბურთს შვილის**

# იგორ ბაიბურთის

**გარდაცვალების გამო.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს იგორის სული. განსვენებულის ოჯახის წევრებს და უახლოეს ნათესავებს ჭირსა შიგან გამაგრებას ვუსურვებთ.**



**გალაკტიონ ტაბიძე**

# მუდამ სიცოცხლით გუგუნებს პრესა

ომი სიმშვიდეს, ომი რუტინას!
ზაჰესი ღამეს ელვარედ ლესავს.
ვარსკვლავებს სძინავთ, გრიგალსაც
სძინავს,
მთებს სძინავთ,
მაგრამ არ სძინავს პრესას.
მანქანასთან ვწერ.
ღამეა. ზრუნვას
ერთი ლაქაც არ ამეასედებს,
როტაციონის მანქანა ბრუნავს
და ხვალისათვის რაზმავს გაზეთებს...
მწყობრი მანქანა გრგვინვას მოიღებს,
თითქო ბრძოლის დროს ჭექდეს მხედარი,
თუ ცოცხალი ხარ — ხმა ამოიღე,
სამარეს მიდი, თუ ხარ ცხედარი!
ვით ჩქერი მდორეს სჭრის და ერევა,
მორევს ღამისას სძრავს ეს ჭენება,
ასე შეხვდება ერთმანეთს ნგრევა —
ძველის ნგრევა და ახლის შენება.
პრესა აქ უდრის
მერანზე უმალს...
პრესასთან ვცხოვრობთ, პრესასთან ვყივით...
ძველი ცხოვრების ყოველ სასთუმალს
პრესა აღვიძებს ახალი სხივით.
არის სიახლე და მოძრაობა,
აპობდეს გრიგალს, კლდესა და ღრესა,
პრესას არ უყვარს ტბა და ჭაობი,
მუდამ სიცოცხლით გუგუნებს პრესა!

# იყიდეთ, იკითხეთ, გამოიწერეთ 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“

**ხელმოწერისთვის მიმართეთ:**

შპს „ელვა ჯი“
595 382 626; 2 38 26 73; 2 38 26 74

შპს „პლანეტა ფორტე“
579 79 99 08; 599 94 73 11

წერილები გამოგვიგზავნეთ
ელექტრონულ ფოსტაზე:
SAKRESP@TOP.GE
SAKRESP@MAIL.RU

**დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:**

თბილისი, ა. წერეთლის პროსპექტი №116,
„დიდუბე პლაზა“ საქართველოს ჟურნალისტთა
კავშირისა და გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ ოფისი.

ნებისმიერი სახის შემოწირულობის (დახმარების)
თანხა შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე
GEO90BG0000000538329790
შპს „100 — ახალი საქართველოს რესპუბლიკა“, გაზეთ
„საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი.
ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17;

## დაკარგული ფერწერული ტილო დაბრუნდა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ჟან სიმეონ შარდენისათვის (1699-1779) მიკუთვნებული ნატურმორტი გადასცა,** — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.




1994 წლის 27 ივლისს მოცემული ნატურმორტი ხელოვნების მუზეუმიდან ლუკას კრანახის „მაჭანკალთან“ და იაკობ ვან რუისდალის „ჩანჩქერთან“ ერთად მუზეუმზე თავდასხმის შედეგად გაიტაცეს. მოგვიანებით სამიდან ორი ნამუშევარი — ლუკას კრანახის „მაჭანკალი“ და იაკობ ვან რუისდალის „ჩანჩქერი“ — მუზეუმს დაუბრუნდა, ხოლო ჟან შარდენის სავარაუდო ავტორობით შესრულებული ნამუშევარი ამ დრომდე დაკარგულად ითვლებოდა.

2023 წლის ნოემბრის დასაწყისში, სამინისტროში ნახატი მიიტანა პირმა, რომელმაც ფართო საზოგადოების წინაშე მისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა. სურათს ჩაუტარდა კვლევა ხელოვნების მუზეუმში ახლად შექმნილ ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიაში. ჩატარებული ტექნოლოგიური კვლევა უტყუარად ადასტურებს, რომ კვლევის ობიექტი წარმოადგენს 1994 წელს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან გატაცებულ ფერწერულ ნამუშევარს. ნამუშევრის ავთენტურობა დარღვეული არ არის. მოცემული სურათი მუზეუმისათვის კუთვნილი რიგით 132-ე ექსპონატია, რომელიც 2021 წლის გაზაფხულიდან დღემდე ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა.



## ჭაჭუნას ეროვნული პარკი განახლებული სახით ელის ტურისტებს

**ჭაჭუნას ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოები გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძემ, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ დავით იოსებაშვილმა და UNDP-ის ხელმძღვანელის მოადგილე ანნა ჩერნიშოვამ დაათვალიერეს.**

ჭაჭუნას აღკვეთილში ეკოტურისტული ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება „საბუკოს“ (საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის) პროექტის „ჭაჭუნას აღკვეთილში ბუნების კონსერვაციაზე ორიენტირებული ვიზიტორთა მომსახურების სერვისების შექმნა და განვითარება“ ფარგლებში მიმდინარეობს. საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ ჭაჭუნას ეროვნულ პარკში მოეწყო ტურისტებისთვის განკუთვნილი კოტეჯები, კემპინგებსა და ფრინველებზე დაკვირვების ადგილები, ასევე ფრინველთა კვების სადგური, რომელიც იშვიათი სახეობებისთვის საკვების მიწოდებასა და მათზე დაკვირვების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 4 დეკემბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7129; ევრო - 2.9769;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4408;
100 რუბლი - 3.0574; თურქული ლირა - 0.0938;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5944;
1000 სომხური დრამი - 6.7587

**ამინდი 1 დეკემბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –4, | დღე +13 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –1, | დღე +14 |
| თბილისი: | ღამე | +6, | დღე +16 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge